კვლევის პრობლემატიკულ მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური ინფორმაციის ალგორითმიზაცია და მანქანურ ენაზე დაყვანის შესაძლებლობის განსაზღვრა. მათემატიკური აღწერა ითხოვს საკვლევი ობიექტის ან მოვლენის კანონზომიერების არა მხოლოდ ფიქსაციას ფორმულებითა და ლოგიკური გამოხატულებით, არამედ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების მკაცრ განსაზღვრასაც. ინტელექტუალური სისტემები ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც ფარული გამოვლინებისა და გაზომვის ინსტრუმენტად, ასევე ექსპერიმენტულ მოწყობილობად, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ამგვარი აზრობრივი სტრუქტურების გენერირებისა და ადეკვატურობაზე შემოწმება შესაძლებელია. მათემატიკური მოდელის აგება არის აზროვნების ნაყოფი, რომელიც ემყარება დაკვირვებისა და აღქმის პროცესების კანონზომიერებას. კანონზომიერების გამოვლინების პროცესი უმნიშვნელოვანესი ელემენტია საკვლევი ობიექტის გარემოს შემეცნებისა. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ გარკვეული ინფორმაციის კოდირება, როგორც მისი მათემატიკური დამუშავების ელემენტი ახალი მიდგომითაა განხილული. გაანალიზებულია მკვლევართა მოსაზრებები ამ მიმართულებით და

წარმოდგენილია დასკვნა, რომ ინფორმაციის აღქმის ფონური პრინციპი და “ვოკალური მიმიკა” ანუ ხმის ემოციური შეფერილობა ადამიანის ემოციური მდგომარეობის შედარებით ფაქიზი და ქცევის სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი და პერსპექტიული ფაქტორია კრიმინალისტიკურ ტექნოლოგიებში.

**АВТОМАТИЗИРОВАННАЯ КОРПОРАТИВНАЯ СИСТЕМА
УПРАВЛЕНИЯ РЕЖИМАМИ ОРОШЕНИЯ**

Гогичаишвили Г., Почовян С., Габедава О., Майсурадзе Г.
Грузинский Технический Университет

В работе описаны основные проблемы управления режимами орошения для получения высокой и устойчивой сельскохозяйственной продукции, а также необходимые данные для составления режимов орошения в автоматизированной корпоративной информационной системе управления режимами орошения (АКИС УРО). АКИС УРО предназначена для составления режимов орошения, т.е. поливных режимов, содержащих сроки их проведения, поливных норм, способы орошения, количество поливов и суммарного водопотребления по полям (участкам) ферм для каждой культуры. Для установления поливного режима орошения учитываются: водно-физические свойства почвы, глубина корнеобитаемого слоя и норма полива с учётом биологических особенностей культур и фаз их развития; влажность почвы перед поливом; суммарное количество израсходованной воды (суммарное во-допотребление). По информационно-технологической структуре АКИС УРО является клиент-серверной многоуровневой и распределённой. В работе приведена обобщённая функциональная схема АКИС УРО. Рассматривается процесс функционирования, информационно-технологическая структура, основные компоненты и используемые сервисные службы АКИС УРО. Эффективность АКИС УРО обусловлена: внедрением математических методов и моделей, организацией компьютерной кор-поративной сети; повышением оперативности и эффективности управленческих решений по режимам орошения; повышением урожайности культур за счёт учёта потребности культур в воде, а также оперативного (ежедневного) реагирования на возникающие изменения внешней среды (температуры воздуха, относительной влажности воздуха, суммарной солнечной радиации, атмосферных осадков и влажности почвы).

საცალო გადახდების დამუშავების ავტომატიზირებული სისტემა

ათანას მაკარიდი, გიორგი გოგიჩაიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია მოსახლეობის საცალო გადახდების განსახორციელებლად საჭირო ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხები. მოსახლეობის „საცალო გადახდების“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის სისტემატიური გადახდები მოწოდებული სერვისისთვის. საცალო გადახდებს მიეკუთვნება: კომუნალური გადახდები, სატელეკომუნიკაციო/ინტერნეტ მომსახურების გადახდები, სხვადასხვა სახის ჯარიმები, სადაზღვევო შენატანები და ა.შ. საშუალოდ, მსგავსი გადახდების რაოდენობა საქართველოში თვეში 2,5 მილიონს აღწევს.

პრივატიზაციისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად საბაზრო ურთიერთობათა პირობებში შეიქმნა უამრავი კერძო კომპანია, დაინერგა და გავრცელდა ახალი ტიპის მომსახურებაც (მაგალითად: მობილური კავშირი, ინტერნეტი, დაზღვევა, ა.შ.), რამაც გამოიწვია ახალი ურთიერთობების დამყარება კომპანიებსა (სერვისის მომწოდებლები) და მომხმარებელთა (მოსახლეობის ფართო მასები) შორის. ამ ფაქტორმა განაპირობა საფინანსო ანგარიშსწორების განხორციელებისთვის ახალი ეფექტური ინსტრუმენტების დანერგვის საჭიროება.

ცნობილია, რომ დასავლურ ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა სერვისის მომწოდებლებსა და მოსახლეობას შორის ანგარიშგების მსგავსი ინსტრუმენტები. დღესდღეობით, ურთიერთანგარიშსწორების ინსტრუმენტი წარმოადგენს ელემენტთა კომპლექსს, რომელიც შედგება როგორც თანამედროვე და ეფექტური, ასევე გადახდის ძველმოდური მექანიზმებისგან. დასავლური ფინანსური სექტორის კონსერვატიულობის გათვალისწინებით, ძველმოდური მეთოდებით განხორციელებული გადახდების წილი დაახლოებით 70%-ს იკავებს. ამრიგად, მთლიანად დასავლური მოდელის მორგება მიზანშეწონილი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ისეთი ინსტრუმენტის შექმნის საჭიროება, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ და გავანალიზოთ გადახდების ორგანიზების მოდელები, და, შესაბამისად, ვიპოვოთ ამოცანის მაქსიმალურად ეფექტური გადაწყვეტა. ამ მიზნით მოცემულ ნაშრომში:

- განსაზღვრულია გადახდების ორგანიზების მოდელის შემუშავების პრინციპები, გარკვეული მოთხოვნების მიმართ მოდელის შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმები;
- მოყვანილია მოდელის მოთხოვნების მიმართ არსებული გადახდების სისტემათა შესაბამისობის შეფასება;
- განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშსწორების ინსტრუმენტები;
- განსაზღვრულია გადახდების სისტემის ორგანიზების გლობალური მოდელი

ელექტრონული სწავლების სისტემა დისციპლინაში „ავტომატიზირებული მართვის მოდელები“

გიორგი გოგიჩაიშვილი, ეკატერინე თურქია, ლილი პეტრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში შესაძლებელი გახდა განათლების პრობლემების გადაწყვეტის კონცეფციების, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე საზოგადოებისათვის შეეთავაზებინა ახალი პროგრამული და ინსტრუმენტული საშუალებანი, რაც „სწავლებას“ მეცნიერების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გახდოდა ხელმისაწვდომს.

კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი განათლების სფეროში, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. სასწავლო პროცესების ინფორმატიზაცია მიზნად ისახავს მომავალ სპეციალისტთა მაღალ დონეზე მომზადებისათვის სწავლებაში დაინერგოს და აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. სწავლების ინფორმატიზაციისათვის აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული ბაზა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უწყვეტად გამოყენება.

აკადემიური სექტორის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული საკითხია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, დღეს დიდი ყურადღება ეთმობა

ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებასა და სასწავლო სექტორში ინფორმაციზაციის პროცესის დანერგვას.

მართვის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონალური ქვესისტემების ინფორმაციული, ალგორითმული და მათემატიკური უზრუნველყოფის დაპროექტებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლოგიკური და გრაფული მოდელები. ნაშრომში შემოთავაზებულია სიმრავლეთა თეორიისა და გრაფული მოდელების დისკრიპინისათვის ლაბორატორიული მეცადინეობისათვის შექმნილი პროგრამული პაკეტი, რაც რეალიზებულია თანამედროვე პროგრამული პაკეტით. მოცემული კურსი ალგორითმისა და დაპროგრამების თეორიის შესწავლის საბაზისო ნაწილია, ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ისეთ საკითხებში, როგორცაა მასივებზე ოპერაციების ჩატარება და სწორი წარმოდგენის შექმნა და ა.შ.

რეალიზებული სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად სირთულის მიხედვით გადაჭრას დასმული ამოცანები, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში მიიღოს სისტემის მიერ შეთავაზებული კომპეტენტური რეკომენდაციები და საბოლოოდ მიიღოს ოპტიმალური შედეგი.

სასწავლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზებული სისტემა

გიორგი გოგინაიშვილი, კობა ბაკურია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დღეს-დღეისობით მრავალი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ამუშავებს საკუთარ სასწავლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზებულ სისტემებს, რომელთა დიდი უმრავლესობაც ითვალისწინებს მხოლოდ კონკრეტულ ან ხშირ შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო პროცესის კრიტიკულ ეტაპებს. წინა საგანმანათლებლო სტანდარტი კი უკეთეს შემთხვევაში აღრიცხულია სხვა უფრო ადრინდელ სააღრიცხვო ამოცანებში, რაც იწვევს ინფორმაციულ წყვეტას და აგრეთვე არღვევს საინფორმაციო გარემოს მთლიანობას. ხოლო

საგანმანათლებლო სფეროში ცვლილებების მოლოდინები კი თითქმის მთლიანად არის იგნორირებული.

აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ისეთი ინფორმაციული სისტემის აგება რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსალოდნელი ცვლილებები. წარმოდგენილ საშუაოში განიხილება ამგვარი სისტემების აგების პრინციპები და მისი ძირითადი კომპონენტების რეალიზაციის გადაჭრის გზები.

ელექტრონერგეტიკული სისტემის წინასწარმოქმნილი მიზნების ოპტიმალური ნაკრებისა და ამ მიზნების მიღწევის დონეების ამორჩევის ინფორმაციული ტექნოლოგია

გიორგი მაჭარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელექტრონერგეტიკული სისტემის მიზნების ოპტიმალური ნაკრებისა და ამ მიზნების მიღწევის დონეების ამორჩევის ინფორმაციული ტექნოლოგია სისტემის ფუნქციონირებისას შედეგა შედეგი ეტაპებისაგან: სისტემის

$$G(a_q) = \sum_{i=1}^n \mu(e_{i,j}) \cdot W(e_i)$$

მიზანთა სტრუქტურირება, რომლის დროსაც გამოიყოფა მთავარი (გლობალური) მიზანი, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ფუნქციონირებას; „სისტემის მიზანთა „წონადობის დადგენა“- მიზნების დახარისხებისთვის თითოეული მათგანი ფასდება რიცხვითი მნიშვნელობებით – მიზნის წონით; სისტემის ლოკალური მიზნების რიცხვის მინიმიზაცია- სისტემის უფრო მეტად მნიშვნელოვანი ლოკალური მიზნების ამორჩევა ხდება ლოკალური მიზნების სიმრავლიდან ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზნების ამოღებით; მრავალმიზნობრივი ალტერნატივების კლასიფიკაცია (სიმრავლის დაყოფა კლასებად) ხორციელდება ლარიჩევის მეთოდით; კლასში დომინანტური ალტერნატივების განსაზღვრა. დომინანტურს წარმოადგენს ისეთი ალტერნატივები, რომელზედაც არ დომინირებს არც ერთი სხვა ალტერნატივა; კლასში ოპტიმალური ალტერნატივების განსაზღვრა - კლასის თითოეული $a_q, q=1..n$, დომინანტურ ალტერნატივისათვის იანგარიშება ინტეგრირებული მაჩვენებელი

დომინანტური ალტერნატივა ოპტიმალურად ითვლება, როდესაც G მაჩვენებელი არის მაქსიმალური. ზემოთ მოყვანილი მიზანდასმის ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნას ფართო წრის ამოცანათა გადაწყვეტისათვის. მიღებული შედეგი ფლობს უტყუარობის მაღალ ხარისხს, ვინაიდან კითხვები, რომლებიც დაესმება ექსპერტს, არის მარტივი და ამავე დროს ხორციელდება მუდმივი კონტროლი ექსპერტის წინააღმდეგობრივი პასუხის მიმართ.

ატომური- და თბო- ელემტროსადგურების საინფორმაციო-საზომი კომპლექსის არქიტექტურის დამუშავება

ჯემალ გრიგალაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინფორმაციო კომპლექსის მოდელი წარმოადგენს გამზომი და გამოთვლითი ტექნიკის აგრეგატული საშუალებების ერთობლიობას, რომელიც სამართავი ობიექტის ავტომატიკისა და ტელექმექანიკის საშუალებებსა და ხელსაწყოებთან ერთად შეადგენს მართვის ავტომატიზირებული სისტემის ტექნიკურ ბაზას. მოდელის დანიშნულებაა ანალოგიური და დისკრეტული გადაწყვეტილებიდან ინფორმაციის მიღება და დამუშავება, მისი გადაცემა გამომთვლელ კომპლექსში შემდგომი დამუშავებისათვის, ტექნოლოგიური პარამეტრების წარდგენა ოპერატორ ტექნოლოგისათვის, მათი ნორმიდან გადახრის სიგნალიზაცია და აგრეთვე შემავალი სიდიდეების რეგისტრაცია.

მოდელს აქვს მოქნილი სტრუქტურა, რაც შესაძლებლობას იძლევა პროექტირების გზით აეწიოს როგორც ერთდონიანი, ასევე მრავალდონიანი კომპლექსები, როგორც კომპიუტერთან, აგრეთვე მის გარეშე სამუშაოდ. მოდელის აგების აგრეგატული პრინციპი შესაძლებლობას იძლევა შეიცვალოს კომპლექსის სტრუქტურა და მწარმოებლობა ინფორმაციის გადასაცემის მოთხოვნილი მოცულობის შესაბამისად. კომპიუტერის გამოყენების გარეშე მოდელი ინფორმაციის შეგროვების გარდა ასრულებს ასევე შემდეგ ფუნქციებს: ინფორმაციის

პირველად დამუშავებას (გადამწოდებიდან შემოსული ინფორმაციის გაფილტვრა, ნორმალიზება, გაწვრთვება, გაძლიერება, მასშტაბირება, გარდაქმნა), ტექნოლოგიური პარამეტრების წარდგენას ოპერატორისათვის მისთვის მოსახერხებელი ანალოგიური, ციფრული ან გრაფიკული სახით.

მოდელის აღნიშნული თვისებები საშუალებას იძლევა უკეთესად იქნას გამოყენებულ მოწყობილობა კომპიუტერთან მუშაობის დროს, რადგან მანქანური დრო ამ შემთხვევაში იხარჯება მხოლოდ ინფორმაციის მეორად გადასაცემასზე. მოდელში გათვალისწინებულია პროგრამული, ინფორმაციული და კონსტრუქციული შეთავსადებობა დღეისათვის ფართოდ გავრცელებულ IBM თავსებად კომპიუტერებთან.

მოდელში გამოიყენება გადასამუშავებელი ინფორმაციის კონტროლი უტყუარობაზე და აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოპერაციების რეზერვების პრინციპი. შემავალი საინფორმაციო არხები ურთიერთ შენაცვლებადია. იერარქიის ცალკეული საფეხურების ან არხების გამორთვა ან მტყუნება არ აისახება კომპლექსის მთლიან შრომისუნარიანობაზე, რაც კიდევ უფრო აუმჯობესებს მისი საიმედოობის მახასიათებლებს.

უსაფრთხოების საფუძვლები კორპორატიულ ქსელებში

კორნელი ოდიშარია, დავით გულუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინტერნეტის მასობრივი განვითარების შედეგად კორპორატიული ქსელების უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა. თანამედროვე კორპორატიული ქსელი წარმოადგენს გარე ქსელებთან თუნდაც მინიმალური კომუნიკაციის გარეშე (ელექტრონული ფოსტა, ვები), ხოლო როგორც წესი, ამგვარ ქსელებში მოძრავი კრიტიკული ინფორმაციული ნაკადები, კომუნიკაციის გარე არხებსაც იყენებენ. შესაბამისად იზრდება ინფორმაციასთან არასანქციონირებული წვდომის რისკი და ალბათობა, რაც ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის ახალი მეთოდების შემუშავების აუცილებლობას განაპირობებს.

კორპორაციული ქსელების მოწყვლადობათა კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება:

- კრიტიკულ ინფორმაციასთან არაავტორიზებული მიმართვა;

• იერიში კრიტიკულ ქსელურ პროგრამულ უზრუნველყოფაზე მისი დროებით ან მუდმივად მწყობრიდან გამოყვანის მიზნით;

• კორპორაციულ ქსელში მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ჩანერგვა სხვადასხვა მიზნებით (ინფორმაციის მოპოვება ან განადგურება, ქსელის ბლოკირება და სხვა).

კორპორაციული ქსელების უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ქსელის დაცვის სისტემა უნდა აიგოს ემულონური პრინციპით, რაც მინიმუმადე შეზღუდავს ქსელის რესურსებთან არასანქცირებულ წვდომას. გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

• კორპორაციული კომპიუტერული ქსელის დაცვა ბოროტგანმზრახველთა შემოჭრისგან;

• სისტემური შეტევების დროული ლოკალიზაცია და აღმოფხვრა. ზიანის დაყვანა მინიმუმადე;

• უსაფრთხოების საშუალებათა ემულონური დანერგვა მინიმალური დანახარჯებითა და მაქსიმალური ეფექტურობით;

• ინფორმაციის უსაფრთხოებაზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის უწყვეტი და ეფექტური ამაღლება;

• უსაფრთხოების დაცვის პროცედურათა მაქსიმალური ცენტრალიზაცია, მიუხედავად კორპორაციული ქსელის გავრცელების მასშტაბებისა და გეოგრაფიული დაშორებისა.

ნაწესები ამოცანების განხორციელებით კორპორატიული ქსელის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება სათანადო დონეზე, ქსელის ძირითადი ამოცანების შესრულების ეფექტურობის შემცირების გარეშე.

კვლევაზე რეგისტრაციის სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისის ინტერაქციის დროის შემოკლება

ლ. იმნაიშვილი, მ. ბედინიშვილი, თ. ტალიკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოხსენებაში განიხილება პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისი. პედაგოგის ინტერაქტიული კავშირი სისტემასთან ხორციელდება თითის სკანერის და სენსორული მონიტორის გამოყენებით. თითის სკანერით ხდება პედაგოგის ბიომეტრიული იდენტიფიკაცია, ხოლო სენსორულ მონიტორზე პედაგოგი თვითონ ირჩევს

დასაწყებ ან დასამთავრებელ სარეგისტრაციო მეცადინეობებს. ამდენად, პედაგოგი პერიოდულად ეხება თითის სკანერს და სენსორული მონიტორის გარკვეულ უბნებს. სამომხმარებლო ინტერფეისთან ასეთი ხასიათის ინტერაქციას სხვადასხვა პედაგოგი სხვადასხვა წარმატებით ასრულებს.

პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისის შეფასებისათვის შემოთავაზებულია ფიტსის და ჰუკის კანონების ერთდროული გამოყენება. ნაშრომში წარმოდგენილია პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისის შეფასების მოდელი და გამოყვანილია ინტერაქციის განხორციელებისათვის საჭირო დროის გათვლის ემპირიული ფორმულები. მიღებული გამოსახულებები საშუალებას იძლევა შეფასდეს სამომხმარებლო ინტერფეისით ინტერაქციის დრო სამიზნე ობიექტის ზომებიდან და დაშორების მანძილიდან გამომდინარე.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ სამომხმარებლო ინტერფეისის სწრაფქმედების გაზრდისათვის განსაკუთრებით ეფექტურია სამიზნე ობიექტის ზომების გაზრდა. ინტერფეისის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის პროგრამული ინტერფეისის მოდიფიცირების კონცეფცია, სადაც მიღწეულია სამიზნე ობიექტის ზომების ვირტუალური გაზრდა და მინიმუმადეა დაყვანილი სამიზნე ობიექტამდე მანძილი. შედეგად მკვეთრად მცირდება პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის სამომხმარებლო ინტერფეისის ინტერაქციის დრო.

ბიზნეს-პროცესების და კოვანიუტარული ქსელების იმიტაციური მოდელის აგების თანამედროვე კონცეფციის ანალიზი

ზურაბ გასიტაშვილი¹, ინგა აბულაძე¹, ვლადიმერ წვერავა²,
მაკა ხართიშვილი²

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2-საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯი

დღესდღეობით ნებისმიერი საწარმოს ბიზნეს-პროცესების ანალიზი, მათი რეინჟინერინგი და ავტომატიზაცია წარმოადგენს მენეჯმენტის თეორიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შეპირაპირების აქტუალურ თემას. რთული ბიზნეს-პროცესების ზუსტი ეფექტურობის რაოდენობრივი

შეფასების რეალური სურათის მისაღებად გამოიყენება იმიტაციური მოდელირება. რთული იმიტაციური მოდელის აგება საკმაოდ შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს. ამდენად მისი ავტომატიზაცია სასურველია, რათა შესაძლებელი იყოს ოპერატიულად გავნახორციელოთ ბიზნეს-პროცესებში მიზანმიმართული ცვლილებები. ამ მიზნისათვის გამოიყენება BPM-სისტემა. ასეთი ტიპის სისტემის საშუალებით შესაძლებელია ბიზნეს-პროცესებში ნებისმიერი სახის კორექტივის შეტანა.

ნაშრომში მიმოხილულია ბიზნეს-პროცესების მოდელირების ძირითადი კლასიკური სტანდარტული სისტემები – IDEF0, IDEF3 და DFD, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია BPWin გარემოში. აგრეთვე, ახალი კლასიკური, თანამედროვე სტანდარტი – BPMN (*Business Process Modeling Notation*) – ნოტაცია ბიზნეს-პროცესების მოდელირებისათვის. იგი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების აღწერის „დე-ფაქტო“ სტანდარტს.

მოყვანილია მოდელირების ძირითადი პარადიგმების სია:

- ტრანზაქტულ-ორიენტირებული. ტრანზაქტი, ანუ განაცხადი გადაადგილდება მოდელში. მაგალითად, იმიტაციური მოდელირების სისტემა GPSS;
- ობიექტ-ორიენტირებული. შესაძლებელია მოდელის დაწერა ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირების მაღალი დონის ენაზე. მაგალითად, Java;
- პროცედურულ-ორიენტირებული. სისტემაში ბიზნეს-პროცესების მოდელი აღიწერება პროცედურის დახმარებით. მაგალითად: სისტემა NetLogo;
- აგენტური სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია არა მთლიანი სისტემის, არამედ მისი შემადგენელი ნაწილების მოდელირება, რომლებიც მოდელში ერთდროულად ურთიერთქმედებენ გლობალური კონტროლის გარეშე. ასეთ სისტემებს მიეკუთვნება AnyLogic და RepastJ.

იმიტაციური მოდელირების არსებულ მრავალ სისტემას შორის ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ სისტემებს მიეკუთვნება: GPSS (*General Purpose Simulation System*), Arena და AnyLogic. მოდელირების სისტემის არჩევისას გაითვალისწინება ისეთი კრიტერიუმები როგორცაა მისი კოდის ჩაწერის შესაძლებლობა, გამოყენების მოხერხებულობა, უნივერსალურობა და თანამედროვეობა. აღნიშნულია GPSS ენის უპირატესობანი სხვა ენებთან შედარებით.

ვინაიდან კომპიუტერული ქსელების მოდელირებისათვის GPSS არ წარმოადგენს ხელსაყრელ სისტემას, რადგან მასში შეზღუდულია პარალელური გამოთვლების რაოდენობა (32-მდე), გამოთვლითი ქსელების მოდელირებაზე ორიენტირებულ ეფექტურ პროგრამულ სისტემებს მიეკუთვნება: COMNET და NetMaker.

ტელესაკომუნიკაციო SDH – ქსელური სისტემების საიმედოების სადიაგნოსტიკო პროცედურების ავტომატიზებული მართვა

ბექა გაბეხაძე, ლევან ინჯია, მარინა ქურდაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

SDH – ტექნოლოგიებზე აგებული მონაცემთა მიმღებ-გადამცემი გლობალური კომპიუტერული გარემოს საიმედოების სადიაგნოსტიკო საშუალებების ფუნქციონალურ დაყოფას, მასთან დაკავშირებული სატესტო პერიოდული პროცედურების ავტომატიზებული მართვის საკითხების დამუშავებასა და ქსელის ფუნქციონირებისათვის მათ ეფექტურ გამოყენებას ადამიანი-ოპერატორის ჩარევის გარეშე, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქსელური სისტემების ყოველდღიური მზადყოფნისა და ხანგძლივი მუშაუნარიანობის უზრუნველსაყოფად. სადიაგნოსტიკო საშუალებების ეფექტური გამოყენება და მათი დახმარებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იძენს კომპიუტერული ქსელური სისტემების ფართო გამოყენების დღევანდელ პირობებში, როცა თითქმის ყოველდღე იზრდება ქსელური სერვისებისა და მათი მომხმარებლების რაოდენობა. ასეთ ვითარებაში ძალზე აქტუალურია „კითხვა-პასუხების“ შემცველი კლიენტ-სერვერული პაკეტების მაღალსაიმედოობით მიღება-გადაცემების წარმოება მინიმალური დროითი დანახარჯებით. ამ მიზნით წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია სადიაგნოსტიკო საშუალებების ფუნქციური დაყოფისა და მათი მუშაობის ავტომატიზაციის ეფექტური მიდგომები ღია კომპიუტერული სისტემების OSI ეტალონური მოდელის დონეების ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

**საქართველოში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების
შესახებ მონაცემების სტატისტიკური დამუშავების
საკითხისათვის**

ირინა გოცირიძე, ანა ფიცხელაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებს არ აწარმოებენ. მათი შემოტანა ძირითადად ზორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მნიშვნელოვანია, თუ რა სახის სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებზეა საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა.

სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების ეროვნული ნომენკლატურული და კოდიფიკაციის სისტემაში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები პირობითად დაყოფილია 13 ძირითად ჯგუფად.

სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების იმპორტირებით დაკავებული წამყვანი ორგანიზაციებიდან მოპოვებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2009-2010 წლებში საქართველოში ყველაზე მოთხოვნილი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები მიეკუთვნებიან შემდეგ ძირითადი ჯგუფებს: 1. ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეანიმაციისა და ინტენსიური ბლოკებისათვის”; 2. ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები დიაგნოსტიკისათვის”; 3. ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის”; 4. ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები საოპერაციო და სამშობიარო ბლოკებისათვის” და ა.შ.

**ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტორული
რისკების ანალიზი**

გულნარა ჯანელიძე¹, ბექა ქაფიანიძე², ნინო მეფარიშვილი²
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ხალიკ ბანკი, საქართველო

საწარმოს ინფორმაციული უსაფრთხოებისადმი მოთხოვნის მიხედვით აუდიტს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიმართულება და მოიცვას ინფორმაციული უსაფრთხოების ცალკეული სფერო. აუდიტი რეკომენდებულია ინფორმაციული რესურსების მთლიანობისა და კონფიდენციალობისადმი მაღალი მოთხოვნების, ინფორმაციულ

ტექნოლოგიებზე მკაცრად დამოკიდებული, აქტიურად განვითარებადი ინფორმაციული ტექნოლოგიების მქონე კომპანიებისათვის.

საწარმოს თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, დიდი რაოდენობის პროგრამული და აპარატურული საშუალებები, და რთული ჰეტეროგენული სტრუქტურა აქვთ. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ძალზედ რთულია მოსალოდნელი საფრთხის ან განზოცილებული თავდასხმის როგორც ოპერატიული აღმოჩენა, ასევე მათი სალიკვიდაციო ღონისძიებების დროული ჩატარება. დიდა იმის ალბათობა, რომ ზოგიერთი თავდასხმა ხდომილების შემდგომ იქნეს აღმოჩენილი ან საერთოდ იგნორირებული დარჩეს. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის კარგად ორგანიზებული სისტემის შექმნა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც საინფორმაციო სისტემების მულტიპლ მონიტორინგს და კომპლექსური აუდიტის წარმოებას, ასევე აუდიტორული საქმიანობის დროს წარმოშობილი რისკების ანალიზს.

კომპლექსური აუდიტი საინფორმაციო სისტემების დაცულობის სრული და ობიექტური შეფასების, არსებული პრობლემების ლოკალიზების, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის აგების ეფექტური პროგრამის შემუშავების საშუალებას იძლევა.

მოხსენებაში განიხილება კომპლექსური აუდიტის ამოცანები და ჩატარების ძირითადი ეტაპები. ასევე, აუდიტორული საქმიანობის დროს წარმოქმნილი რისკების ანალიზი.

აუდიტორული საქმიანობის მიმართ წარმოდგენილი მიდგომა საინფორმაციო სისტემების დაცულობის სრული და ობიექტური შეფასების, არსებული პრობლემების ლოკალიზების, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის აგების ეფექტური პროგრამის შემუშავების საშუალებას იძლევა.

**ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის
ანალიტიკის სისტემა**

გულნარა ჯანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ეტაპზე ინტერნეტის ბიზნეს-სექტორი ვითარდება საკმაოდ მაღალი ტემპებით, რაც განპირობებულია, უპირველესად, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონით. რაც უფრო სწრაფად ვითარდება ინფორმაციული გეოსტრუქტურა, მით უფრო უჩნდებათ კომპანიებს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით

მანიპულირების შესაძლებლობები თავიანთი ბიზნესის სრულყოფის მიზნით. ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობა მიმდინარეობს რისკებით. ელექტრონულ ბიზნესში რისკების სიტუაციების დონე პროცენტულად გაცილებით აღემატება ტრადიციულ ბიზნესში რისკების დონეს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ინტერნეტ-სივრცის ინტენსივობასთან. ამდენად, ბიზნესის სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირმა სარისკო სიტუაციების შეფასებისა და პროცენტული მაჩვენებლის შემცირებისათვის უნდა გამოიყენოს ანალიტიკური მეთოდები.

უსაფრთხოების სამსახური სავალდებულო სტრუქტურული ქვედანაყოფია განსაკუთრებით მსხვილ კომპანიაში. მათ წინაშე მდგომ მრავალ ამოცანათა შორის შეიძლება გამოვყოთ კომერციული საიდუმლოს შენახვასთან და ასევე, კონკურენტების მხრიდან არასამართლებრივი ქმედებების შეჩერებასთან დაკავშირებული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს უსაფრთხოების რეჟიმის დარღვევის ანალიზს, ასევე კონკურენტებისა და სხვა ორგანიზაციების, კლიენტების, პარტნიორების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს.

ანალიტიკური სისტემა ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ ძირითად რგოლს წარმოადგენს. იგი მოიცავს ანალიზის ჩატარებისა და კვლევის მთელ რიგ მიმართულებებს. სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაციულ-ანალიტიკური სამსახურის ამოცანები და მათ გადასაჭრელად შემოთავაზებულია ანალიზის ჩატარებისა და კვლევის მიმართულებები. ასევე დამუშავებულია თანამედროვე ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემა და წარმოდგენილია უსაფრთხოების სისტემის საბაზო ფუნქციები, რომელსაც უზრუნველყოფს შემოთავაზებული სისტემა.

ბირჟის ორგანიზაციული მოდელი

ლევან ჯიქიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში – ბაზარის ინფრასტრუქტურული მომსახურების შექმნა სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

თანამედროვე ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებს სპეციალიზირებული სასაქონლო ბირჟები. დღეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში და საერთოდ მსოფლიოში შენარჩუნებულია ტრადიციული ვაჭრობის სასაქონლო ბირჟები. საქართველოში სასაქონლო ბირჟების საქმიანობა კი განვითარების საწყის ეტაპზეა. ვაჭრობის ორგანიზაციაში – სასაქონლო ბირჟებმა სხვადასხვა დროს შესამჩნევი როლი შეასრულეს. საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულ როლს დღეს საშუამავლო ბაზარი ასრულებს, რომელიც ბაზრობებზე, აუქციონებზე და რეალური საქონლის ბირჟებზე აღმოცენდა. საშუამავლო ბაზრის ევოლუციამ, რომელიც გასაღების სხვადასხვა ფორმების მზარდი კონკურენტის, ვაჭრობაში კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარების საფუძველზე მიმდინარეობდა, თანდათან ახალ ფორმას მიიღო. ეს არის სატელეფონო – სატელექსო და ინტერნეტ ბაზარი.

ორგანიზაციული მოდელირება საქმიანობის საკმაოდ ახალი მიმართულებაა, რომლის დანიშნულებაა მიზნობრივი მოდელის შექმნა, რომელიც შეიცავს ორგანიზაციაზე (ჩვენს შემთხვევაში ბირჟაზე) მის სტრუქტურაზე, ლოგიკურ საქმიანობაზე კომპლექსურ წარმოდგენას.

სტატიაში განხილულია საფონდო ბირჟის ორგანიზაციული მოდელის შექმნის საკითხების შესახებ, ჩამოყალიბებულია მახასიათებლები, რომლებიც მოქმედებს საფონდო ბირჟაზე, განსაზღვრულია საქართველოს პირობებში საფონდო ბირჟაზე მოქმედი ფაქტორები.

ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის დამუშავება

თინათინ კაიშაური, ნინო ბეჟანიშვილი, გიორგი მაისურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებიდან გამომდინარე კიბერ სივრცეში მცირე ნეგატიურმა ჩარევამ ან უმნიშვნელო კრიმინალურმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სოციუმის ინფორმაციული კოლაფსი. ამიტომ საზოგადოება იძულებულია სათანადო ყურადღება

მიაქციოს ინფორმაციის სწორად დამუშავებას და მისი უსაფრთხოებისათვის შექმნას ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემა. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემა (იუმს) მართავს საინფორმაციო სისტემის ყველა პროცესს. საფრთხე მოედინება არა მხოლოდ ინტერნეტიდან, არამედ შიდა სისტემიდანაც. საფრთხის 50% დაკავშირებულია შიდა სისტემის პრობლემებთან. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემა ახორციელებს შესაბამის მაკონტროლებელ პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის სტრუქტურულ, სისტემურ და ფუნქციურ დაცვას. ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელი უნდა იყოს მათ მიერ მოძიებულ და გამოყენებულ ინფორმაციაზე, ხოლო მმართველმა გუნდმა კი უნდა უზრუნველყოს ყველა სახის საინფორმაციო უსაფრთხოების კონტროლი.

მოხსენებაში განიხილება ბიზნეს ოპერაციების დაცვის რისკ-ფაქტორები შემდგომში მათი იდენტიფიკაციის მიზნით და მიღებულია გარკვეული კორპორაციული დაცვის ნორმები. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემამ უნდა მოახდინოს ინფორმაციული აქტივობის კლასიფიკაცია, რათა განისაზღვროს მოთხოვნები, პრიორიტეტები და დაცვის ხაზი. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა აქტივი სათანადოდ კონტროლდებოდეს. ინფორმაციის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება მის საიმედო დაცვაზე, რაც თავისთავად ითხოვს ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას.

ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას

კ. კამკამიძე, ი. გაბრიჩიძე, ვ. გაბრიჩიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამჟამად ინერგება ჰიდროელექტროსადგურების რეჟიმების კომპიუტერული მართვა. კომპიუტერული მართვის სისტემაში მიზანშეწონილია ჰიდროელექტროსადგურის დერივაციის (გვირაბში ან წყალმომყვანის სქემაში) ჰიდრაულიკური დარტყმის გამოორიცილებად ნაგებობა-მოწყობილობის გამოყენების საშუალების გათვალისწინება. ამისათვის ჩვენ მიერ დამუშავებულია მოწყობილობის პროექტი, რომელიც

ითვალისწინებს დღემდე არსებული გამოანაბრებელი კოშკის გარეშე სწრაფქმედი ნაგებობა-მოწყობილობის გამოყენებას კომპიუტერული მართვით.

კოშკის გამოორიცილება 30-40 %-ით აიაფებს დერივაციის მშენებლობას. აღნიშნული ნაგებობა-მოწყობილობის დანერგვა ითვალისწინებს ჰიდროტექნიკურ, ელექტროტექნიკურ და ავტომატიზაციის ახლებურად გადაწყვეტას. მოწყობილობის სქემის მუშაობა ხასიათდება მაღალი სწრაფქმედებით და საიმედოობით, განაგრძობს მუშაობას ენერგოსისტემიდან ენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

დერივაციაში გამოყენებული იქნება ერთამძრავიანი ორი საკეტი: ტურბინაში წყალმიწოდებელი და დროებით წყალგაღამგდები, რომელიც იმუშავებს ავარიის საბოლოო ლიკვიდაციამდე.

მოწყობილობა დაიცავს ელექტროსადგურის დერივაციას ჰიდრაულიკური დარტყმებისაგან და ჰიდრაგრაგულებს - რეჟიმების დარღვევისაგან.

COMPARISON ANALYSIS OF UNCONDITIONAL AND CONDITIONAL BAYESIAN PROBLEMS OF TESTING MANY HYPOTHESES

Kachiashvili K.J.¹, Hashmi M. A.², Mueed A.³

Abdus Salam School of Mathematical Sciences of GC University, 68-B,
New Muslim Town Lahore, Pakistan

¹kartlos5@yahoo.com, ²muntazimabbas@gmail.com,

³amueed1596_v2k@hotmail.com

In Bayesian statement of hypotheses testing, instead of unconditional problem of minimization of average risk caused by the errors of the first and the second types, there is offered to solve the conditional optimization problem when restrictions are imposed on the errors of one type and, under such conditions, the errors of the second type are minimized. Depending on the type of restrictions, there are considered different conditional optimization problems. Properties of hypotheses acceptance regions for the stated problems are investigated and, finally, comparison of the properties of unconditional and conditional methods is realized. The results of the computed example confirm the validities of the theoretical judgments.

ОПТИМАЛЬНОЕ КОДИРОВАНИЕ ВНУТРЕННИХ СОСТОЯНИЙ КОНЕЧНОГО АВТОМАТА

Картвелишвили О.М., Осипов М. Г.
Грузинский Технический Университет

Рассматривается метод кодирования внутренних состояний конечного автомата на этапе структурного синтеза, при котором функции возбуждений и выходов будут наиболее простыми, что приводит к упрощению структуры автомата.

В основе рассматриваемого метода лежит два момента: первый сводится к сокращению количества перебираемых вариантов кодирования; второй – к введению таких способов оценки сложности функций возбуждения элементарных автоматов, при которых не требуется находить эти функции.

Используется разделение состояний заданного автомата на группы, определяемые кодом элементарного автомата, что дает возможность оценить зависимость последующего состояния каждого элементарного автомата от состояний других элементарных автоматов.

На основании сформулированных правил определения указанных зависимостей построен алгоритм кодирования автомата и реализован в виде программы на языке C++, которая была исследована на автоматах с различными таблицами переходов.

СИНТЕЗ КОНЕЧНОГО АВТОМАТА ПО РЕГУЛЯРНЫМ ВЫРАЖЕНИЯМ

Дзнеладзе Г., Картвелишвили О.
Грузинский Технический Университет

Рассматривается абстрактный синтез конечного автомата, заданного на языке регулярных выражений. Указанная форма задания автомата является наиболее подходящей при разработке и реализации поведения в управляемых событиями программах, таких как сетевые драйверы и компиляторы. В компиляторах конечные автоматы используются для лексического анализа, при которых осуществляется распознавание и выделение лексем (последовательности допустимых символов языка программирования, имеющих смысл для компилятора) из входной последовательности символов.

В данной работе предлагается построение конечного автомата, допускающего тот же язык, что и регулярное выражение. Используя построение Томпсона, для каждого регулярного выражения строится недетерминированный автомат как композиция из автоматов, соответствующие подвыражениям. На последующем этапе полученный недетерминированный автомат преобразуется в детерминированный. Минимизируется количество состояний с использованием поиска групп состояний различных входной строкой.

Составлен алгоритм и программа, которая была опробована на реальных примерах.

Автомат, построенный по предложенному алгоритму позволяет:

- проверить строку на соответствии шаблону;
- идентифицировать определенный текст в документе с целью замены или удаления;
- извлекать из строки подстроку в соответствии с шаблоном.

კომპიუტერული ქსელების მახასიათებლების შეფასების მეთოდები

გიორგი კირცხალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კომპიუტერული ქსელების განვითარებისათვის, პროექტირებისათვის და მართვისთვის საჭიროა შეფასდეს მახასიათებლები.

კომპიუტერული ქსელის თითოეული კომპონენტის პარამეტრის სრული და უტყუარი მონაცემის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპიუტერული ქსელი შეყვანილია ექსპლუატაციაში, ჩართულია თუნდაც სასტარტო რეჟიმში არასრული დატვირთვით, ან იმ შემთხვევაში როცა ექსპლუატაციაში შესულია ანალოგური ქსელი. ამ შემთხვევაში, ფუნქციონირებად გამოთვლით ქსელში ხორციელდება საჭირო პარამეტრების ცვლილებები, გაზომვები და მიღებული მონაცემთა ანალიზი. ასეთი გაზომვების განხორციელება რთული და ძვირადღირებული პროცესია. თან არ ხერხდება საინფორმაციო ქსელში ყველა პარამეტრის ცვლილება და მათი გაზომვა. ამის გამო, უფრო ხშირად გამოიყენება მოდელირების მეთოდები. სისტემის მოდელი – ესაა ობიექტის მათემატიკური ან ლოგიკური

მოდელი, რომელიც აგებულია მოდელირებადი სისტემის თვისებების გარკვეული წესების მიხედვით და სისტემის ფუნქციონირების შესწავლის საშუალებას იძლევა. იმის გამო, რომ გამოთვლითი სისტემის შემქმნელს წარმოეჭმნება ბევრი კითხვა, შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული სისტემის მოდელი. ყველა ეს მოდელი ასახავს ერთსა და იმავე სისტემას, მაგრამ განიხილავს მას სხვადასხვა კუთხით ან დეტალიზაციის სხვადასხვა დონით.

სტატიაში განხილულია კომპიუტერული ქსელების მოდელის შესაქმნელად საჭირო მახასიათებლების შეფასების კრიტერიუმები.

ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიზური უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა (რამდენიმე ასპექტი)

ჰენრი კუპრაშვილი, კორნელი ოდიშარია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის ინდუსტრიულიდან ინფორმაციულ საზოგადოებად ტრანსფორმირება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების ზემოქმედების შედეგია. ამგვარი საზოგადოების ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო სივრცის დაუფლების ეფექტიანობა და მაღალი ხარისხი. ინფორმაციის დამუშავების პროცესის ყველა ეტაპი მოითხოვს შესაბამის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ადამიანის ცხოველქმედების ყველა სფეროში, თანამედროვე სისტემური ანალიზის, კიბერნეტიკული, ინფორმატიკული და ლოჯისტიკური პრინციპების გარეშე, არცერთი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხი არ გადაიჭრება და, ცხადია, არც უცხო ქვეყნები გაგვიზიარებენ თავიანთ „სამზარეულო ილეთებს“, თუკი მენიერებასთან ერთად ამ ხელოვნებას არ ავითვისებთ. ნაჩვენებია, რომ ეს ტექნოლოგიები განსაკუთრებით დიდ დატვირთვას ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში იძენენ, ამ მიმართულებით

საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და მის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საინფორმაციო-ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიებს.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიღწევები იმის კარგ საშუალებას იძლევა, რომ თეორიულ სფეროში ინტეგრირებული ცოდნა გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად. ცივილიზაციის განვითარების პროცესებს რომ არ ჩამოვრჩეთ, პერსპექტიულმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ფართო გამოყენება უნდა ჰპოვონ ცალკეულ საგნობრივ დარგებში და ისინი უნდა იქცნენ მძლავრ ინსტრუმენტად სახელმწიფოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

წარმოდგენილი რეალობების ფონზე განხილულია სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიზური უზრუნველყოფის საკითხები. დასაბუთებულია ეროვნული უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების და პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთიანი ინფორმაციული სივრცის ორგანიზებისა და მისი ავტომატიზების ძირითადი პრინციპები. მოცემულია შესაბამისი სამსახურების მართვის სისტემა და მის ბაზაზე აგებული ეროვნული უშიშროების ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის ზოგადი სქემა.

ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი

ჰენრი კუპრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამ ბოლო დროს, შეიმჩნევა სამწუხარო ტენდენცია, ტერმინ "უშიშროების" ნაცვლად XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან განსხვავებული შინაარსის მატარებელი ტერმინი "უსაფრთხოება" გამოიყენება, ანუ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოვლენის აღსანიშნავად მკვიდრდება ერთი ტერმინი "უსაფრთხოება".

ინგლისურ ენაშიც ტერმინში "security" "ეროვნული უშიშროების" (National security), "უშიშროების საბჭოს" (Security Council), "საინფორმაციო უშიშროების" (security information) კონტექსტში გამოიყენება და მოიაზრებენ პოტენციურ მსხვერპლს, ხოლო ტერმინში "safety", რომელიც ქართულ ენაშიც "წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების" (Industrial safety), "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" (Road safety), "უსაფრთხოების ღველების" (safety belt), "ტექნიკური

უსაფრთხოების წესების" (safety code regulations) გამოსახატავად იხმარება, მოიაზრებენ საფრთხის წყაროს.

ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი განსხვავების თვალსაზრისით მოვიყვანილია მაგალითები:

1. "სასურსათო უსაფრთხოებაში" მოიაზრება სურსათი (მაგალითად, კონსერვი და სხვ.), რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, ხოლო "სასურსათო უშიშროებაში", ძალიან მარტივად - სახელმწიფოში სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც პერსპექტივაში შეიძლება შიმშილი და სხვა თანმდევი პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა გულისხმობს, ამ თვალსაზრისით, ისეთი წინმსწრები ღონისძიებების გატარებას, რომელიც ქვეყანას თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საშიშროებას.

2. ისევე, როგორც საქართველოს ინფორმაციულ უშიშროებაში მოიაზრება ინფორმაციულ სფეროში მისი ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობა, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სბალანსირებული ინტერესების ერთობლიობა. ხოლო ინფორმაციულ უსაფრთხოებაში კი მოიაზრება, ავტომატიზებული სისტემების რესურსების, ინფორმაციული სისტემების, ავტომატიზებული სისტემების, მონაცემთა ბაზების და სხვ. დაცვა. კიდევ უფრო მარტივად - კომპიუტერში პროგრამების ვირუსებისაგან დაცვა და სხვ.

ავტომატიზებული ქარგვის ტექნოლოგიური პროცესის მხარდაჭერი მსახურბული სისტემის დაფუძნება

ქეთევან კვესელავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გლობალიზაცია საჭიროებს ისეთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რომელიც კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტების განმტკიცების უპირატესობას იძლევა. ეს ყველაფერი ითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლას იმ ინფორმაციის ბაზაზე, რომელიც დღესდღეობით ადამიანის ცხოვრებაში გროვდება. ამ თვალსაზრისით წარმატებული საწარმოები ქმნიან ინოვაციურ ინფრასტრუქტურის

ელემენტებს, რომელიც შეიცავს დიზაინისა და ტრანსფერული ტექნოლოგიების ცენტრებს.

ასეთ ტექნოლოგიურ ცენტრებში ხდება ახალი საწარმოო ტექნოლოგიების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმის დიზაინს და პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მართლმადიდებლურ კანონიკაზე დამყარებული ხატწერის შემსწავლელი ცენტრები, სადაც იქმნება ხატების, სასულიერო პირთა შესამოსელისა და საეკლესიო ნივთების (დაფარნა, გარდამოსნა, კრესაბეგლი, მღვდლის შესამოსელი) ესკიზები. ამ ესკიზების მიხედვით საუკუნეების მანძილზე ხელით იქარგებოდა საეკლესიო ნივთები. თუმცა ამას დიდი დრო მიჰქონდა. თანამედროვე ტექნოლოგიები კი საშუალებას გვაძლევს დროის მოკლე მონაკვეთში სპეციალური მექანიკური და ავტომატური მანქანების საშუალებით შევქმნათ ისეთი ნიმუშები, რომლებიც მიახლოებული იქნებიან ხელით შექმნილ ნაკეთობებთან, თუმცა დიდი დრო მიაქვს სცენების და ესკიზების დამუშავებას, კანონიკის დაცვით.

დღესდღეობით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჩატარებული კვლევის ბაზაზე ჩვენს მიერ მუშავდება საძიებო ბაზა და ექსპერტული შეფასების სისტემა, რომელიც მოთავსდება საჭირო ინფორმაცია და, სადაც აისახება საეკლესიო ნივთების ნაქარგობათა სიუჟეტების სცენები, ესკიზები, ხატის იკონოგრაფიული თავისებურებანი, მათი ფორმის, ფერის, რიცხვთა სიმბოლიკის, კანონიკის აღწერის ცოდნის ბაზა და გადაწყვეტილებების მიღების ინტელექტუალური გარემო.

ესკიზებისა და ორნამენტების ახალი ნიმუშების შექმნას აქვს ეროვნული და ესთეტიკური ფასეულობა, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს და აახლოვებს ინჟინერ-ტექნიკურ შემოქმედებასთან. თანამედროვე ტექნიკური ინჟინერიის შემოქმედების იდეოლოგია და ტექნოლოგია კომპიუტერული უზრუნველყოფის სერვისის ბაზაზე ავტომატიზებულ დაპროექტებას ემყარება, რომლისთვისაც ჩვენს მიერ დამუშავებულია მოდელი და ამ აღნიშნული მოდელის სათანადო ბლოკ-სქემა. წარმოდგენილი მიდგომა ორიენტირებულია საქარგი კადრის მომზადების ავტომატიზაციაზე, რაც ამცირებს შრომის ტევადობას, ზრდის დამუშავებული ობიექტის ხარისხს და დაცულია არსებული კანონიკა.

ABSTRACT OF THE THESIS FOR THE INFORMATION SYSTEMS SECURING

ლ. ჩხაიძე, ლ. ჯაში, რ. ლანდია, ც. კვანტალიანი,
Bosikashvili Z., Bejanishvili L, Gogishvili Z.
გ. ჯანაშია
Georgian Technical University

“არა მალე, ბოლოვდება, რომელიც დღეს ასე თავმოყრებით
At the present stage of the development of information and computer
technologies along with energy and environmental protection problems,
მართვის სისტემების უსაფრთხოება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.
information security is one of the most important problems. The human kind
სადაც უფრო მეტად უზრუნველყოფს ციფრულ გარემოში საფრთხის
activities increasingly becomes dependent on the digital environment and any
დაცვითი ზომების არაა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ უსაფრთხოების
delay in this area can cause significant damage to the computer systems of
გლობალური ქსეები და ტექნოლოგიები რისკს ქმნის უსაფრთხოების
global networks and technologies the risk of their unauthorized access,
სადაც უსაფრთხოების მოწყობის მიზნით უსაფრთხოების უსაფრთხოების
security measures should be taken to ensure the security of the systems with
ბუნებრივი და ხელოვნური ინფორმაციის სისტემების უსაფრთხოების
purpose. This can be both domestic and abroad. ეს
გამოწვევით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა სფეროებში, რადგან ის
სადაც უსაფრთხოების სისტემების უსაფრთხოების უსაფრთხოების
activities in the systems through which they have an impact on the
smooth operation of the system and its constituent components.
Maintenance of safety of information systems, first of all, includes
არა მარტო უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების
arrangements on detection of weaknesses and their elimination, cyclic works
on detection and suppression of attacks. The research proposed an approach
მომხმარებელთა უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების
that helps professionals in solving the problem, because the presented
როგორც (სადაც უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების
process is difficultly formalizable. The research proposed a unified three-tier
მოდელი და ფარგლებს უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების
model and framework to ensure the security of information systems.
უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების უსაფრთხოების
The first-tier model represents the formal side of securing. It explains
how to achieve the target state from the initial state in the state space, by
selecting security operators. The model allows the specification of security
tasks and their plan and safety job sequence. Representation of the first step
is possible by means of formal model of a following kind:

1. ქართული $S = X \times U \times Y$, სახელებისა და ზნების ფუნქციების
მნიშვნელობა — space of conditions of information system, $S = X \times U \times Y$.

მათივე მნიშვნელობის კლასიფიკაციის მიხედვით, S — მართვის სისტემის
In this expression S — the set of conditions of information system, S —
internal conditions of system, X — the set of conditions of system, U —
— the initial conditions of system, Y — the set of conditions of system,
which may change the state of system, U — the set of conditions of system,
is the target set of conditions, G — target set of conditions and it is possible to
present it as B — a predicate constructed on the basis of entrance conditions
and existing problems.
ქართული (სინტაქსის სინტაქსური სტრუქტურის
საშუალებით).

მასწავლებლის მოდელირებას იყენებს. ინფორმაციის უსაფრთხოების პროცესების მოდელირებას ინფორმაციის უსაფრთხოების პროცესების მოდელირებას ინფორმაციის უსაფრთხოების პროცესების მოდელირებას...
The general information is represented in the form of semantic nets, the facts are stored in a database. To build the model we suggest to use

აქვე განსაზღვრავთ არის სწრაფი და მარტივი. ამავდროულად, მესამე პირისათვის “ჰაქერისათვის” — შეუძლებელია რეალურ დროში, მისი...
where B = (O, A, V) — set of concepts, object-attribut-value
B × B — space of references, R — space of deduction rules, W — set of functions. The general information is represented in the form of semantic nets, the facts are stored in a database. To build the model we suggest to use

აქვე განსაზღვრავთ არის სწრაფი და მარტივი. ამავდროულად, მესამე პირისათვის “ჰაქერისათვის” — შეუძლებელია რეალურ დროში, მისი...
Using formalism proposed the architecture of program framework for information systems vulnerability analysis.

აქვე განსაზღვრავთ არის სწრაფი და მარტივი. ამავდროულად, მესამე პირისათვის “ჰაქერისათვის” — შეუძლებელია რეალურ დროში, მისი...
Using formalism proposed the architecture of program framework for information systems vulnerability analysis.

სისტემის მოდელირებას იყენებს. ინფორმაციის უსაფრთხოების პროცესების მოდელირებას...
რისთვის არის საჭირო ინფორმაციის დაცვა? რისი გაკეთება შეუძლია ინფორმაციის გამტარებელს — “ჰაქერს”? მას შეუძლია აღიქვას ინფორმაცია თავის მიზნებისათვის, გაიფარებოდეს კანონიერი შეცვალოს ინფორმაცია თავის მიზნებისათვის, გაიფარებოდეს კანონიერი — დღეს-დღეობით არის და ყოველთვის ეძიება ერთ-ერთი აქტუალური უფლებამოსილება, გაიფაროს კმა რა ინფორმაციასთან აქვს შეხება, საკმარის ყოველდღიურ ცხოვრებაში, შექმნას სწორი მომხმარებლის მორის ინფორმაციის გაცვლა. მესამე პირის მასალიდან გამოდინარე ჩვენ მიზანდ დავისახეთ, ჩვენ გავიცანით და შევსწავლეთ შევალ არსებულ, როგორც ისეთი მეთოდის, შექმნა, რომელიც იქნებოდა გასაღების გარეშე და მათ დახურული, ასევე ღია არის მეთოდები, დავადგინეთ მათი თქმა უნდა საიმედო. ჩვენ მიერ მიღებულ იქნა ღია არის მეთოდი,

სადაც არ არის გამოყენებული და არც გამოთვლილი საერთო გასაღები, ანუ გასაღები საერთოდ არ გამოიყენება, არც დასაშიფრი და გასაშიფრი. ამავდროულად, მეთოდი არის მომხმარებლებისათვის მისაღები, პრაქტიკაში ადვილად გამოყენებადი და სწრაფი. ასევე სხვა მომხმარებლისაგან “ჰაკერისგან” მაქსიმალურად დაცული, როგორც სხვა აღიარებული მეთოდები.

მივიღეთ მეთოდი, რომელიც მიეკუთვნება ასიმეტრიულ სისტემებს. ასიმეტრიულ სისტემებში კი, ყოველთვის გამოიყენება ან საერთო გასაღები, ან ცალცალკე დასაშიფრი და გასაშიფრი გასაღები, მიღებულ მეთოდში კი არ გამოიყენება გასაღები და ისევე საიმედოა, როგორც სხვა არსებული მეთოდები.

ცნობილ დიფი-ჰელმან-მერკლეს მეთოდში ერთი საერთო გასაღების მისაღებად ჩასატარებელია ოთხი ოპერაცია. ჩვენ მიერ მიღებულ მეთოდში კი ოთხი ოპერაციით უკვე მიღები მხარე იღებს საწყის ტექსტს. არსებულ მეთოდში უფრო მეტი დრო იხარჯება, ვიდრე მიღებულ მეთოდში.

მაშასადამე, მიღებული მეთოდი გამოირჩევა მაღალი სიჩქარით. კრიპტოსირთულე, წარმოადგენს მამრავლებად დაშლა და მოდულის გამოყენებით სიმრავლეში გადარჩევა, ლოგარითმის გამოთვლა. თანაც აღნიშნულ მეთოდში, მთავარი არის ის, რომ გასაღები საერთოდ არ გამოიყენება, რაც შეადგენდა კიდევაც ჩვენს მიზანს.

უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა

თამარ მენაბდე, რევაზ ჟვანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მუშავდება იმ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, რომლებიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის პოლიტიკით ხარისხის სფეროში. იგი არის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმიანობის მართვის საერთო სისტემის განუყოფელი ნაწილი.

ხარისხის ყველა სისტემა ეფუძნება გარკვეულ მოდელს. **ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოდელი** – არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ხარისხის მართვის საშუალებას.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანიშნულებაა განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და მომხმარებლების (სტუდენტები, დამსაქმებლები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები) მოთხოვნების და მოლოდინის დაკმაყოფილება. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ძირითადი ამოცანაა გამოშვებული პროდუქციის თითოეული ერთეულის კონტროლი (განათლების სფეროს შემთხვევაში ცალკეული სტუდენტის ცოდნის, კომპეტენციების, უნარ-ჩვევების კონტროლი), ისეთი საორგანიზაციო სტრუქტურისა და პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მაღალ ხარისხს და რომლის პირობებშიც შეუძლებელია დაბალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტების, ისევე როგორც დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისა და უხარისხო აღჭურვილობის არსებობა.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოწოდებულია გადაწყვიტოს უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანები. უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობის შემდგენელი (ფინანსურ-ეკონომიკური, მარკეტინგული, მატერიალურ-ტექნიკური, საკადრო, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა) გვევლინება განვითარების ორიენტირებად. სწორედ კონკურენტუნარიანობა გამოდის საბაზო ფაქტორის როლში, უწევს რა პედაგოგიურ კოლექტივს ორიენტაციას ინოვაციურ მიმართულებასა და მუდმივ განვითარებაზე.

Информация об оценках факторов риска может быть представлена отдельным значением (точка), диапазоном значений, некоторым распределением вероятностей значений, нечеткой величиной, иной величиной в нечисловых шкалах. Показано, что рассмотренные случаи можно аппроксимировать распределением вероятностей, при этом функция распределения выбирается согласно принципу максимизации энтропии. В частности, если заданы только границы интервала уместно использовать равномерное распределение либо бета-распределение как более общий случай.

В статье рассматривается разнообразие способов представления исходных данных. В частности, информация о факторах риска может быть представлена в терминах нечетких переменных. В таком случае вместо функции плотности распределения рассматривается функция принадлежности, которая характеризует степень принадлежности каждого члена пространства рассуждения данному нечеткому множеству. В качестве функции принадлежности могут быть выбраны абсолютно любые функции, однако существуют стандартные классы функций принадлежности, используемые для решения большинства задач описания нечетких переменных.

Разработанная методика позволяет преодолеть ограничения на точность оценок и способы задания исходных данных. Информация о факторах риска задается различными способами, но в итоге все они сводятся к заданию распределения случайной величины на определенном интервале. При этом показано, что наиболее уместно использовать бета-распределение.

Программная реализация методики предполагает значительную ресурсоемкость, поэтому предлагается параллельная реализация алгоритма с использованием ресурсов вычислительного кластера и возможностью удаленного доступа.

ჭარბი პაკეტების გადაცემების ეფექტური მართვა კომპიუტერულ ქსელებში

ო. ნატროშვილი, მ. ქურდაძე, ლ. ინჯია,
ბ. გაბეხაძე, ნ. ნატროშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია კომპიუტერულ ქსელებში ჭარბი პაკეტების ეფექტური გადაცემის მეთოდები. შემოთავაზებულია ახალი ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს პიკის საათებში ქსელის მუშაობის დროს ჭარბი პაკეტების პრიორიტეტულ გადაცემებს მათი უმცირესი დროითი ხანგძლიობების მიხედვით. ამ ალგორითმის სარეალიზაციოდ შემუშავებულია დროითი ხანგძლიობების გაზომვისა და შედარების მეთოდები, შესაბამისი მოწყობილობები ოპტოელექტრონული გამოძველები მოდულების გამოყენებით, რომლებიც წარმატებით წყვეტენ ჭარბი პაკეტების გადაცემების ეფექტური მართვის პრობლემებს კომპიუტერული ქსელის პიკური დატვირთვის დროს.

ავტომატიზებული ამოცნობი სისტემის დიალოგური პროცედურების დამუშავება

იოსებ ქართველიშვილი, თეა თოდუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის სისტემაში დიალოგური პროცედურების დამუშავების საკითხი. ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებული ამოცნობი სისტემის დიალოგური პროცედურა ორი ნაწილისაგან შედგება: სიმბოლოების შედარების პროცენტული მაჩვენებლების მიღება და გრაფიკული ინფორმაციის გადაყვანა ტექსტურ ფორმატში. მომხმარებელსა და სისტემას შორის დიალოგის წარმართვა გულისხმობს სხვადასხვა დიალოგური ფორმის შემუშავებას: ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარება, შედარების პარამეტრების დაყენება, ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების ანალიზი, ამოცნობის პარამეტრების დაყენება, სიმბოლოების ამოცნობა და ამოცნობის შედეგი.

საგამოცდო ტესტების გენერირების პროგრამული კომპლემსი

იოსებ ქართველიშვილი, თეა თოდუა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია საგამოცდო ტესტების გენერირების პროგრამული კომპლემსი, რომელიც თანაბარი სირთულის მქონე ტესტების სხვადასხვა ვარიანტის ავტომატურად შექმნის საშუალებას იძლევა. თითოეული გამოსაცდელი პირისათვის იქმნება ტესტის სხვადასხვა ვარიანტი. შედეგების გამოტანა ხდება Excel-ის ფორმატში. აღწერილია ბაზისური და ნაწარმოები კლასები, კონსტრუქტორები, პროცედურები და ფუნქციები. ყველა მეთოდის ალგორითმისთვის დამუშავებულია პროგრამული კოდები, რომლებიც წარმოდგენილია სქემატურად და თითოეული მათგანი აღწერილია თავისი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

კავშირგაბმულობის სხვადასხვა არხის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები უსაფრთხოების სისტემებში

იოსებ ქართველიშვილი, გიორგი ცინარიძე, ზებურ ბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე რეალობაში დაცვითი სისტემებისა და მათი მოწყობილობების მომსახურების ბაზარი სულ უფრო და უფრო იზრდება, თუმცა არც თუ ისე შორეულ წარსულში დაცვითი სისტემების ძირითადი ნაკლი იყო მათში სადენიანი სატელეფონო ხაზების გამოყენება, რომელთა უარყოფით მხარედ ითვლებოდა საქალაქო სატელეფონო ქსელების არამდგრადი მუშაობა და დაბალი ფიზიკური დაცულობა. აქედან გამომდინარე, ხშირად შეუძლებელია არატელეფონიზებული ობიექტების დაცვა (აგარაკები, კოტეჯები და სხვა). აღნიშნულის გამო, სადენიან დაცვით სისტემებს გაუჩნდათ უფრო საიმედო ალტერნატივა – “რადიოტალღური დაცვითი სისტემები”. რადიოტალღური დაცვითი სისტემების უპირატესობა თვალსაჩინოა, ისინი არ არიან დამოკიდებული სატელეფონო ხაზებზე და ქსელის მუშაობის ხარისხზე და გამოირჩევიან შემდეგი ძირითადი თვისებებით: მონტაჟის სიმარტივე; ნებისმიერი ობიექტის დაცვის შესაძლებლობა რადიოტალღის მოქმედების ზონაში;

უნივერსალობა – მარტივი ელემენტებიდან შესაძლებელია აეწეოს უამრავი სისტემა: მონტაჟის მაღალი სიჩქარე და ექსპლუატაციაში სწრაფად გაშვება, კონფიგურაციის ოპერატიული ცვლილება, დაცვითი პულტის მობილურობა, რამდენიმე პულტის თანაარსებობის შესაძლებლობა. არ არის პრინციპული შეზღუდვა არსებულ დაცვის სისტემასთან შეერთების აუცილებლობის შემთხვევაში.

პირველ ხანებში უსადენო დაცვის სისტემები ვერ გავრცელდა ფართოდ დაბალი საიმედოობის გამო (რამდენიმე წლის წინ მინც ითვლებოდა, რომ სადენიანი კავშირი უფრო საიმედო იყო). ამჟამად კი არსებობს მოწყობილობების და დანადგარების უფრო ფართო სპექტრი, რომლებიც გამოიყენება უსადენო დაცვის სისტემებში. ფიჭური კავშირების საყოველთაო გამოყენებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაცვის სისტემებში. კერძოდ, ფიჭური კავშირის ოპერატორების მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების გამო, დაცვითი სისტემები უფრო საიმედო გახდა. თანამედროვე პერიოდში უსადენო დაცვითმა სისტემებმა GSM-ის ბაზაზე ძალზე ფართო გავრცელების არეალი მიიღეს, რაც პირველ რიგში განპირობებულია მათი შედარებით მცირე ღირებულებით, მონტაჟის სიმარტივით და გაადვილებული ექსპლუატაციით.

მართვის მრავალდონიანი განაწილებული სისტემების დაპროექტება

თეიმურაზ სუხიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მართვის სამდონიანი სასამართლო სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი ავტომატიზება მოითხოვს მართვის სისტემის დამუშავებას განაწილებული სამუშაო ადგილებით, კლიენტ-სერვერ ორგანიზაციით. ასეთი სისტემების დაპროექტებისა და პროგრამული რეალიზაციისათვის ამჟამად გამოიყენება მოდელირების ობიექტ-ორიენტირებული მიდგომა და მის საფუძველზე დამუშავებული უნიფიცირებული მოდელირების ენის (UML) მეთოდოლოგია.

UML, როგორც უნივერსალური საშუალება, კარგ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, მაგრამ დაპროექტებისა და რეალიზაციის პროცესი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია დამპროექტებელ-სპეციალისტზე. აქ ძირითადად ევრისტიკულ მოდელირებასთან გვაქვს საქმე, რამეთუ როლებისა და მათი ამოცანების დაგეგმარებიდან

დაწვებული, კლასებისა და კლასთაშორისი დიაგრამებისა და პროცესების აგებით დამთავრებული, შემდეგ პროგრამული კომპონენტების დახვეწითა და ტესტირებით, საბოლოო შედეგები მთლიანად ამ სპეციალისტზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ამოცანათა გადაწყვეტის მრავალეტაპიანობა და კომპლექსურობა მრავალვარიანტული შედეგების მიღების შესაძლებლობას ქმნის. გამომდინარე მათი კომბინატორული ხასიათიდან. ევრისტიკული მიდგომით კი ვერ დავადგენთ, თუ რამდენად კარგია ჩვენს მიერ მიღებული შედეგები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გადაწყვეტის სინტაქსური და სემანტიკური ეკვივალენტობების (მოდელირების) მეთოდებით დასმული ამოცანა. განისაზღვროს მისი გადაწყვეტის ოპტიმალური მეთოდი, შეფასების კრიტერიუმები.

მოცემულ ნაშრომში განიხილება ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის განაწილებული სისტემების დაპროექტება-რეალიზაციის ამოცანათა ერთობლიობა UML მოდელის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამოცანა მდგომარეობს კომპლექსური კრიტერიუმების ერთობლიობის გამოვლენაში, რომელიც UML მოდელის ცალკეული ეტაპების ოპტიმიზაციას ემსახურება სპეციალური ლოგიკურ-ალგებრული, სიმრავლეთა თეორიისა და გრაფების, ავტომატების თეორიისა და პეტრის ქსელების, მონაცემთა ბაზებისა და დაპროგრამების ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების ბაზაზე. ამგვარად, განიხილება UML მოდელის გაფართოებული ვარიანტი.

ОБ ОДНОЙ МЕТОДИКЕ РЕШЕНИЯ НЕЛИНЕЙНОГО УРАВНЕНИЯ ДЛЯ ОПРЕДЕЛЕНИЯ СОБСТВЕННЫХ ЗНАЧЕНИЙ ТЕНЗОРА НАПРЯЖЕНИЙ

Телия Тамаз

Батумская государственная морская академия

С задачами на собственные значения инженер сталкивается в различных ситуациях. Так, для тензоров напряжений собственные значения определяют главные нормальные напряжения, при динамическом анализе механических систем – соответствуют собственным частотам колебаний, а при расчете конструкций – позволяют определить критические нагрузки, превышение которых приводит к потере устойчивости.

Наиболее очевидным способом решения задачи на собственные значения является их определение из системы уравнений $(A-\lambda E)X=0$,

которая имеет не нулевое решение лишь в случае, если $\det(A-\lambda E)=0$. Здесь, A – матрица напряжений размерности 3×3 , E – единичная матрица, λ – три скалярных значений, которых требуется найти, X – собственные векторы, соответствующие каждому из собственных значений. Раскрыв определитель, получим полином третьей степени относительно λ , корни которого и будут собственными значениями матрицы. Для определения корней нелинейного уравнения используется метод последовательных приближений, встроенный в диалоговом окне Goal Seek, программного пакета MS Excel.

Найдена величина наибольшего главного напряжения, соответствующее наибольшему собственному значению матрицы напряжений, при которой происходит разрушение.

СОВРЕМЕННЫЕ МЕТОДЫ И СРЕДСТВА АНАЛИЗА И КОНТРОЛЯ РИСКОВ ИНФОРМАЦИОННЫХ СИСТЕМ КОМПАНИЙ

О.Шония, К. Одишария, Н.Цома
Грузинский Технический Университет

В статье рассмотрена актуальность задачи обеспечения информационной безопасности для бизнеса и обоснована необходимость инвестиций в информационную безопасность компании. Приведены и детально рассмотрены современные программные комплексы анализа и контроля информационных рисков: британский **CRAMM** (компания Insight Consulting, www.insight.co.uk), который является довольно мощным и универсальным инструментом, позволяющим, помимо анализа рисков, решать также и ряд других аудиторских задач американский. Метод является универсальным и подходит как для больших, так и для мелких организаций, как правительственного, так и коммерческого сектора.; **RiskWatch** (компания RiskWatch, www.riskwatch.com), который является мощным средством анализа и управления рисками. В семейство RiskWatch входят программные

продукты для проведения различных видов аудита безопасности. В методе RiskWatch в качестве критериев для оценки и управления рисками используются «предсказание годовых потерь» (Annual Loss Expectancy – ALE) и оценка «возврата от инвестиций» (Return on Investment – ROI). Семейство программных продуктов RiskWatch, имеет массу достоинств.; и российский ГРИФ (компания Digital Security, www.dsec.ru), который в отличие от представленных на рынке западных систем анализа рисков, которые громоздки, сложны в использовании и часто не предполагают самостоятельного применения ИТ-менеджерами и системными администраторами, ответственными за обеспечение безопасности информационных систем компаний, обладает простым и интуитивно понятным для пользователя интерфейсом. Однако за внешней простотой скрывается сложнейший алгоритм анализа рисков, учитывающий более ста параметров, который позволяет на выходе дать максимально точную оценку существующих в информационной системе рисков, основанную на глубоком анализе особенностей практической реализации информационной системы. В статье рассмотрены данные методы и построенные на их базе программные системы.

**უსაფრთხოების ავტომატიზებული სისტემის
ინფორმაციული უზრუნველყოფა
ოთარ შონია, იოსებ ქართველიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ავტომატიზებული სისტემის გადაწყვეტა წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაამუშავებისა და გადაცემის პროცესებს. სისტემის შემუშავებაში მთავარ როლს თამაშობს ინფორმაციული უზრუნველყოფის დამუშავება, რაც მართვის ამოცანის ინფორმაციულ ანალიზს და ინფორმაციული ბაზის დაპროექტებას გულისხმობს. უსაფრთხოების ავტომატიზებული სისტემა გათვლილია გლობალურ ქსელში სამუშაოდ. მასში გათვა-

ლისწინებულება განაწილებული სამუშაო ადგილები. თითოეული მომხმარებელი დაცულია საიდენტიფიკაციო კოდის მიხედვით, რომელსაც განაგებს სისტემის ადმინისტრატორი. ავტომატიზებული სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და როლურად განაწილებული მართვის პროექტის სარეალიზაციოდ გამოყენებულია მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა (მბმს) MS_SQL Server პაკეტი. უსაფრთხოების ავტომატიზებული სისტემა დაფუძნებულია არქიტექტურაზე „კლიენტი-სერვერი“ და მოიცავს როგორც სერვერის, ასევე კლიენტის ნაწილს. გამოყენებითი პროგრამიდან მონაცემთა ბაზებთან მომხმარებლის წვდომა ხორციელდება სისტემის კლიენტურ ნაწილთან მიმართვის გზით. კლიენტურ და სერვერულ ნაწილებს შორის ძირითად ინტერფეისად გამოდის მონაცემთა ბაზების SQL ენა.

**ИССЛЕДОВАНИЕ МОДЕЛИ ДВУХЭТАПНОГО РЫНКА
ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ**

Васин Александр Алексеевич, Шарикова Агата Андреевна
Факультет вычислительной математики и кибернетики
МГУ им. М.В. Ломоносова,
119991 ГСП-1 Москва, Ленинские горы,
МГУ имени М.В.Ломоносова, 2-й учебный корпус

Рассматриваются вопросы, связанные с оптимальным проектированием рынка электроэнергии. Для того, чтобы решить данную задачу рационально, важно рассмотреть влияние организованного форвардного рынка на цену на электроэнергию. Форвардный рынок – известный механизм снижения рыночной власти компаний. Этот факт представляет интерес, так как для электроэнергетики характерна высокая концентрация производства, а дробление рынка не целесообразно в силу эффекта масштаба и проблем надежности электроснабжения. Бушнелл (2005) рассмотрел двухкратный аукцион Курно в условиях симметричной олигополии и невозможности арбитража. В случае постоянных предельных издержек он показал, что возможность заключения форвардных контрактов снижает рыночную власть производителей так же, как увеличение числа производителей

на рынке с n до n^2 . Однако, два предположения, принятые в упомянутой работе, не соответствуют реальности: 1) фактическая динамика цен не соответствует гипотезе о равенстве цен на спотовом и форвардном рынках; 2) приоритет богатых потребителей при покупке товара на форвардном рынке не имеет места на реальных рынках.

В данной работе исследуется модель со случайным исходом на спотовом рынке. В этом случае невозможность арбитража означает, что цена p^f на форвардном рынке равна математическому ожиданию цены p^s на спотовом рынке. Рассматривается стратегическая модель взаимодействия производителей $a \in A$ и потребителей. На первом шаге фирмы назначают

объемы $q_a^f, a \in A$ предложения на форвардном рынке, $\sum_{a \in A} q_a^f \stackrel{def}{=} q^f$. На

втором шаге каждый потребитель b принимает решение о покупке товара на форвардном рынке, исходя из функции полезности U_b , которая характеризуется резервной ценой r_b и параметром λ_b , показывающим степень избегания риска потребителем. Потребители, решившие покупать товар на форвардном рынке, формируют функцию спроса $D^f(p)$. Цена p^f определяется из соотношения $q^f = D^f(p^f)$. На третьем шаге фирмы

выбирают объемы q_a^s предложения на спотовом рынке. Происходит аукцион Курно на котором цена p^s рассчитывается из условия $D^s(p^s) = \sum_{a \in A} q_a^s$. Остаточный спрос D^s определяется с учетом того,

что на спотовом рынке с вероятностью w реализуется цена p_1 , $p_1 \leq p^f$ («рынок медведей»), с вероятностью $1-w$ - цена p_2 , $p_2 \geq p^f$ («рынок быков»). Известна функция плотности распределения потребителей по r и λ , а доля риск-предпочитающих агентов с $r_b > p_2$ постоянна.

Мы находим оптимальные стратегии производителей и потребителей, соответствующие принципу совершенного подыгрового равновесия. Исследованная модель позволила охарактеризовать

равновесное поведение потребителей. На форвардном рынке товар покупают только риск-избегающие потребители с $r_b > p^f$, причем их доля тем больше, чем выше резервная цена потребителей. При высокой цене на спотовом рынке товар покупают только риск-предпочитающие потребители. Полученные соотношения равновесных цен и объемов для двухэтапного рынка и обычной олигополии Курно, характеризующие снижение рыночной власти компаний, близки к результатам Бушнелла. Равновесие в модели связано с использованием производителями коррелированных смешанных стратегий.

ოპტიმალური მოქმედების ალგორითმების განზოგადებული მოდელის დამუშავება

სიმონ ხოშტარია, კარლო ბარულაძე,
ცისანა ხოშტარია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია მოქმედების ალგორითმების განზოგადებული მოდელის დამუშავება, რომელიც წარმოადგენს მრავალ შესაძლო ვარიანტებს არაჭარბი მოქმედების ალგორითმების შექმნისათვის.

ოპერატორის არაჭარბი მოქმედების ალგორითმების ვარიანტების აგება შესაძლებელია მაშინ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვიყენებისას, რომელიც წარმოადგენილია მომიჯნავე მატრიცის სახით. აქედან გამომდინარე, თუ საწყის მონაცემებში მოქმედება აღწერილია სტოქასტიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირით, მაშინ მისი შესაბამისი ალბათური გადასვლების მომიჯნავე მატრიცა $M_{ij} > 0$ შეგვიძლია შევცვალოთ და წარმოვადგინოთ $M_{ij} > 1$ სახით.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ: აუცილებელ პირობას წარმოადგენს კავშირების მატრიცებში ჰამილტონის გრაფების არსებობა. მომიჯნავე მატრიცის მოქმედების გრაფების საფუძველზე სტრუქტურების და სვეტების ნულისაგან განსხვავებული ელემენტების ჯამი, რომელიც ტოლია $n-1$, სადაც n – მოქმედების ოპერაციის გრაფებში განსაზღვრავს მომიჯნავე მატრიცის რიგს.

ნაშრომში განიხილება ადამიანი-ოპერატორის მოქმედების ალგორითმების პროექტირების ამოცანის შესრულების ხერხი და მოდელები.

ელექტრონული მთავრობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

დავით ზაუტაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ელექტრონული მთავრობა (Electronic Government). დღესდღეობით სულ უფრო ნათლად ხდება იმის აღქმა, რომ ელექტრონული მთავრობა არის არა მხოლოდ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განხორციელებაში, არამედ საუბარია ხელისუფლების საქმიანობის რეორგანიზაციაზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, რომელსაც მივყავართ სახელმწიფო მმართველობის თვისობრივად ახალ ხარისხთან და დემოკრატიის ახალი ფორმების განვითარებასთან. ელექტრონული მთავრობის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში განაპირობებს მის მიმართ სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო და ანალიტიკური ცენტრების განსაკუთრებულ ყურადღებას. ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს კვლევები ელექტრონული მთავრობის სფეროში და მუშავდება ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზაციის შეფასების მეთოდები სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებზე.

მსოფლიოში დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მთავრობის განვითარების სტადიების კლასიფიკაციის რამოდენიმე ვარიანტი. მრავალ ქვეყანას მიღებული აქვს ელექტრონული მთავრობის განვითარების კონცეფცია. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის მიღებული ელექტრონული მთავრობის განვითარების კონცეფცია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ელექტრონული მთავრობის განვითარებას.

ჩვენ მიერ ანალიზი ჩატარდა იმერეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-საიტებს. კვლევა ატარებდა შეფასებით ხასიათს და გამიზნული იყო საერთო პრობლემების გამოსავლენად. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ელექტრონული მთავრობა იმყოფება განვითარების საწყის სტადიაზე.

მონაცემთა შეკუმშვის შესახებ

მიხეილ ღონაძე, რიმა თხილაიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონაცემთა შეკუმშვა (data compression) არის მონაცემის სხვადასხვა დამგროვებლებზე მოცულობის შემცირების ტექნიკა. ის ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით. ძირითადად გამოიყენება მონაცემთა შეკუმშვის ორი რეჟიმი: სტატიკური და დინამიკური. გამოიყენება აგრეთვე ფიზიკური და ლოგიკური შეკუმშვა, სიმეტრიული და ასიმეტრიული, ადაპტური, ნახევრად ადაპტური და არადადაპტური, შეკუმშვა დანაკარგის გარეშე, დანაკარგით და მინიმალური დანაკარგით. მონაცემთა შეკუმშვის სახეებია:

მონაცემთა სტატიკური შეკუმშვა (static data compression) — გამოიყენება გრძელვადიანი არქივაციის დროს, მისი შესრულება შესაძლებელია სპეციალური სერვისული პროგრამებით. აღდგენის შემდეგ თავდაპირველი ინფორმაცია აღდგება.

დინამიკური შეკუმშვა (შეკუმშვა რეალურ დროში; dynamic compression, compression in real time) - განკუთვნილია მონაცემთა მოცულობის შესამცირებლად დისკზე და კომპიუტერის გარე მოწყობილობებთან სწრაფი (ოპერატიული) წვდომისათვის. დინამიკური შეკუმშვა და განფუთვა წარმოებს ავტომატურად „წამიერად“, სპეციალური პროგრამების საშუალებებით.

ფიზიკური შეკუმშვა (physical compression) - ესაა შეკუმშვის მეთოდოლოგია, რომლის დროსაც მონაცემები ”ფორმალურად” გადაეწეობა კომპაქტურ ფორმაში, ანუ ინფორმაციის ბუნებისა და თვისებების გათვალისწინებლად.

ლოგიკური შეკუმშვა (logical compression) - ეს ის მეთოდოლოგიაა, რომლის დროსაც ანბანური ციფრული და ორობითი სიმბოლოების ერთი წეობა იცვლება მეორით, ამასთანავე საწყისი მონაცემების არსებითი მნიშვნელობა ინახება (შენარჩუნებულია).

სიმეტრიული შეკუმშვა (symmetric compression) — მონაცემთა შეკუმშვისა და განფუთვის ალგორითმის აგების პრინციპები ახლოსაა ან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სიმეტრიული შეკუმშვის დროს

შეკუმშვასა და განფუთვაზე დახარჯული დრო თანაზომიერი ანუ პროპორციულია.

არასიმეტრიული შეკუმშვა (asymmetric compression) — ამ რეჟიმის დროს სამუშაოს შესასრულებლად ”ერთი მიმართულებით” უფრო მეტი დრო იხარჯება, ვიდრე მეორე მიმართულებით. შეკუმშვისათვის უფრო მეტი დრო და სისტემური რესურსი იხარჯება, ვიდრე განფუთვისას.

გაანალიზებულია კოდირებისა და შეკუმშვის სხვადასხვა რეჟიმებისა და მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ერთი ეკონომიკური ხასიათის ამოცანის ამონახსნის ანალიზი ორადული შფასანგების გამოყენებით

ციცინო სარაჯიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ცნობილია, პრაქტიკული ეკონომიკური ხასიათის ამოცანების ამონახსნის დროს, დასაბუთებული და მათემატიკურად სწორად გადაწყვეტილი ოპტიმალური ამონახსნის მისაღებად, გამოიყენება მათემატიკური მოდელირება. გადასაწყვეტი პრობლემის შინაარსიდან გამომდინარე, მოდელი შესაძლებელია სხვადასხვა ტიპისა იყოს.

ჩვენს მიზანს შეადგენს წარმოვადგინოთ კონკრეტული ეკონომიკური ხასიათის ამოცანის ამონახსნის ანალიზი, ორადული შფასანგების გამოყენებით. კერძოდ, თავდაპირველად დასმული ეკონომიკური პრობლემის გადასაწყვეტად ჩამოვყალიბებთ ამოცანას, ვადგენთ შესაბამის მათემატიკურ მოდელს (ჩვენს შემთხვევაში-წრფივს). რომელიმე მეთოდით განვსაზღვრავთ როგორც საწყისი, ანუ პირდაპირი ამოცანის ოპტიმალურ ამონახსნს, ასევე ორადული ამოცანის ოპტიმალურ ამონახსნსაც. ამის შემდეგ ვახდენთ საწარმოო გეგმის ოპტიმალობის ანალიზს ორადული შფასანგების გამოყენებით.

ორადული ამოცანის ამონახსნი გვადლევს მოცემულ კონკრეტულ წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის შეფასების ოპტიმალურ სისტემას. ორადული შფასანგებით განვსაზღვრავთ, თუ რომელი ტიპის ნედლეული გამოიყენება სრულად, ასევე თუ რამდენად იზრდება მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა ამა თუ იმ ნედლეულის ერთი ერთეულით გაზრდისას. ორადული ამოცანის შეზღუდვებში ოპტიმალური ორადული

ამონახსნის ჩასმით და შესაბამისი შეზღუდვის ხასიათით განვსაზღვრავთ, თუ რომელი ნაკეთობის წარმოება არის მომგებიანი და რენტაბელური, და რომლისა-არა. ორობითი შეფასებების გამოყენებით ამოცანის ეკონომიკური ანალიზის დროს ამ ამოცანის მდგრადობასაც განვიხილავთ. განვსაზღვრავთ პირდაპირი ამოცანის წრფივ შეზღუდვათა სისტემის თითოეული თავისუფალი წევრის ცვლილების ისეთ ინტერვალს, რომელშიც შესაბამისი ორადული ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი უცვლელი რჩება. განვსაზღვრავთ ორადული შეფასებების მდგრადობის ინტერვალს ყოველი ტიპის რესურსის ცვლილების მიმართ, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთდროული ცვლილების დროს; განვსაზღვრავთ პირდაპირი ამოცანის მიზნის ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობის ნაზრდს, დადგენილ საზღვრებში რესურსების რაოდენობის ცვლილების დროს.

სამარაგო ელემენტების ოპტიმალური განაწილება ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით

გ. ჭყოიძე, გ. მაკასარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით სამარაგო ელემენტების ოპტიმალური განაწილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ტექნიკური სისტემის სტრუქტურული მართვის ღონისძიებათა შორის.

სამარაგო ნაწილების არსებობა უშუალო გავლენას ახდენს სისტემის რემონტვარგისიანობაზე: რამდენადაც დარეზერვირებული სისტემის საიმედოობა არსებითად არის დამოკიდებული აღდგენის დროზე, იმდენად ნათელია მასზე სათადარიგო ნაწილების გავლენა. აქედან გამომდინარე, ამ გავლენის ანალიზი, სახელდობრ, მისი ეკონომიკური ასპექტების გამოკვლევა აქტუალური სამეცნიერო – ტექნიკური ამოცანაა.

პირველი ნაშრომები მარაგების მართვის სისტემების სფეროში ძირითადად თეორიულ ხასიათს ატარებდა, პრაქტიკული დანერგვისათვის შემუშავებული მეთოდები ჩამოყალიბდა ზუსტი ევრისტიკული წესების სახით. მარაგების მართვის სისტემების თეორიის განვითარებას ხელს უწყობდა ძირითადად ორი მიმართულებით გაწეული კვლევითი საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს მარაგის ფორმირების პროცესის აბსტრაქტულ მოდელირებაში, მეორე მიმართულება ატარებდა პრაგმატულ ხასიათს და ითვალისწინებდა მარაგის ღონის განსაზღვრას

მეთოდის შემუშავებას და არა მხოლოდ რაიმე ფუნქციონალური დამოკიდებულების უბრალო შემოღებას. ყველაზე ნაყოფიერია ის მიდგომა, რომელიც შამ ორი მიმართულების გაერთიანების მცდელობას წარმოადგენს. მარაგნაწილების კომპლექტი უშუალოდ არის დაკავშირებული სტრუქტურულ დარეზერვირებასთან. დარეზერვირების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით მთავარი თავისებურება ის არის, რომ სარეზერვო ნაკეთობანი ძირითადად ერთად ერთიან სისტემას ქმნიან. მარაგნაწილების კომპლექტი არ ქმნის ძირითად ნაკეთობათა ერთიან კონსტრუქციას, ის არ არის „ჩაშენებული“ სისტემაში, არ აღინიშნება მის სქემაზე და მოყვანილია მხოლოდ ცალკე სპეციფიკაში.

მარაგნაწილები გავლენას ახდენს დროით რეზერვებზეც – მისი არსებობა სრული მოცულობით ამცირებს სისტემაში აღდგენის დროს – ეს კი დროითი რეზერვის ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა. იმის მიხედვით, თუ რომელი იერარქიის სამარაგო ნაწილებთან გვაქვს საქმე, მათი ფორმირებისა და მოხმარების სისტემის ორგანიზაცია მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ამასთან ერთად, არსებობს ზოგადი საერთო პრინციპიც. ასეთი ზოგადობა უფრო მეტად ვლინდება სამარაგო ნაწილების სისტემის ეკონომიკური ასპექტის განხილვისას.

ფილტრების რეზერვაციის მათემატიკური მოდელი

ზურაბ მეგრელიშვილი, იბრაიმ დიდმანიძე,

ზებურ სურმანიძე, გრიგოლ კახიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პერსპექტიული მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის საკითხების წარმატებულად გადაწყვეტას, არის პრინციპულად ახალი მათემატიკური მოდელების საფუძვლების განხილვა, რომელიც უნდა გამოირჩეოდეს მიზნობრივი პროდუქტის მაღალი გამოსვლით, მინიმალური მატერიალური და ეკონომიური დანახარჯებით. ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისათვის, მაგრამ ტექნოლოგიური პროცესების გაანგარიშების საფუძვლების დადგენა, მათემატიკური მოდელის შექმნა, რთული და შრომატევადი საქმეა. გარდა ამისა, წყლის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგიებში, კერძოდ, იონცვლის პროცესებში, ეს საკითხები სრულყოფილად არ არის

ჩამოყალიბებული და მათი გამოკვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანაა.

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად შეიქმნა ფილტრის რეგენერაციის მათემატიკური მოდელი, რომლის ბაზაზე დაიწერა პროგრამა, რომელიც დღეს წარმატებით მუშაობს.

შრომითი დასაქმების სააგენტოს ბიზნეს-პროცესების მოდელირება UML/2 ტექნოლოგიით და მონაცემთა ბაზის დაარსება

ანა შუბითიძე, ნიკოლოზ შუბითიძე, მარინე ბიტარაშვილი,

გიორგი ჩერქეზიშვილი

განხილულია სოციალური სფეროს მართვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტების და რეალიზაციის კონცეფცია, კერძოდ, უმუშევართა დასაქმების სააგენტოს ბიზნეს-პროცესების მოდელირების ამოცანა, მათი აღრიცხვისა და მონიტორინგს მიზნით. შემუშავებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების აღწერის UML დიაგრამები. დაპროექტებულია სისტემის მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური მოდელი. წარმოდგენილია სარეალიზაციო სისტემის ფრაგმენტი Ms SQL Server, C# და ASP.NET პაკეტების საფუძველზე.

დასაქმების ბიზნეს-პროცესების ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა მართვის ავტომატიზებული სისტემის ინფორმაციული ბაზის სტრუქტურა. „სამუშაოს მაძიებელი“, „სამუშაოს დამკვეთი“, „სისტემის მენეჯერი“, „სისტემის აუდიტი“ და ა.შ.

შრომითი დასაქმების მონიტორინგის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური მოდელი დაპროექტდა ობიექტ-როლური მოდელირების (ORM) რევერსიული ტექნოლოგიით და შესაბამისი ინსტრუმენტით. ობიექტ-როლური მოდელირება მიახლოებულია ბუნებრივ სალაპარაკო ენასთან. ესაა მოდელირება ფაქტების საფუძველზე, სადაც საპრობლემო არე განიხილება, როგორც ობიექტთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრულ როლებს ასრულებს.

MULTIMEDIA DATABASES AND IT-INFRASTRUCTURE OF AN ELECTRONIC ELECTION SYSTEM

Basiladze Giorgi
Georgian Technical University

The processes of building of democratic State and a formation of legal society are various depending on many objective and subjective factors. One of the most important from them is the reform of a State Election System. Especially for our Country, with a broad political spectrum and a strong characteristic of non confidence population. We find actual the political, economical and technical-technological decisions to solve the problems of this sphere. In the report we consider a critical analysis of foreign and Georgian existing election systems and is described the new, conception of development of support IT infrastructure of an Electronic Election System, proposed by us. Since 1990, many elections were conducted in Georgia, as local governance, parliament and a presidential also. Referendums were carry on as well. But the population in spite of many elections are very non confidence of all of them. Was impossible to improve a Georgian legislation and a system of election. There is nothing to proclaim regarding a voters list and the formation of it, where we can find a lot of death people's names. Besides, to conduct an election with an existing election system, costs a lot of money for state.

We worked out an electronic election system, which excludes all inaccuracies and all misunderstandings, comparing with an old election system. It conditions high quality transparency and develops the confidence in a population. There are several components to be done for the system, which we propose. Each component includes some subparagraphs:

1. Develop a network on base of statement security standards, which will cover all districts, where the elections were founded with an old election system;
2. Equip all electoral districts with a hardware, which will be set in a above described network;
3. Create data warehouses in parallel with a public registry, which databases will be compared and combined with a public registry databases;
4. Major changes will be held on an electoral districts. For example: in our conception described election system excludes marking system, ballot-paper and electoral bin too;

5. Develop the software system, which will provide the identification except of existing text databases, multimedia databases also, like a bio photo and fingerprints.

We can negotiate about economic efficiency of the conception. If we will foresee, that the basic costs should be paid only once for getting a hardware and creating a software and after that we will need only the installation and dismantle fees, we can say, that it will gone a be cheaper for the state comparing with an old system. State does not need to print a ballot-papers, which will be colossal benefit for the state budget.

The social effect should be marked. The system will make population more confidence to the election. It gives long term guarantee to the citizen, going to the election implementing his constitutional right with a hope, that his vote will not be lost.

ბიზნეს-ავლიკაციების აგების თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები

ირაკლი ბულია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ბიზნეს-ავლიკაციები არ ფუნქციონირებს განყენებულად. მათი უმრავლესობა დაკავშირებულია სხვა ინფორმაციულ სისტემებთან. ბიზნეს-პროცესების მართვა და სხვადასხვა სისტემების დაკავშირება სულ უფრო აქტუალურ და მნიშვნელოვან როლს იძენს. ავლიკაციები შექმნილია სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით, სხვადასხვა სისტემებზე, მათთან მონაცემების გაცვლისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები. შესაბამისად ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია მოითხოვს ცენტრალიზებული ინტეგრაციის პლატფორმის არსებობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სისტემების დაკავშირება და აღნიშნული პროცესების მართვა.

მოხსენებაში განიხილება მაიკროსოფტის ფირმის ახალი ტექნოლოგია Ms BizTalk_Server, რომლის დანიშნულებაა კორპორაციის შიგნით და გარე კავშირების ავტომატიზაციის საფუძველზე მართოს არსებული ბიზნეს-პროცესები. კერძოდ:

- ავლიკაციების დაკავშირება, მონაცემთა გადაცემისათვის როგორც სხვადასხვა ორგანიზაციებს (Business-to-Business Integration - B2B), ასევე ცალკეული ორგანიზაციების ფარგლებში (Enterprise Application Integration - EAI);

- სხვადასხვა სტრუქტურის ინფორმაციის მიღება და გადაცემის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა სისტემებს შორის პროცესების მართვა, ბიზნეს-ლოგიკის შესაბამისად (business process management - BPM);
- პროცესების მონიტორინგი რეალურ დროში.

Ms BizTalk_Server სისტემის ძირითადი მექანიზმებია: შეტყობინებათა მართვა (Messaging) და ბიზნეს-ლოგიკის რეალიზაცია (Orchestration).

შეტყობინებათა მართვა (Messaging) გულისხმობს მონაცემების მიღებას სხვადასხვა წყაროებიდან და მათ გადამისამართებას გამავალ წყაროებში. ასევე მათ გარდამნას XML ფორმატში და შეტყობინებათა ბაზაში შენახვას.

მონაცემების შეტყობინებათა ბაზაში მიღების შემდეგ იწყება მათი დამუშავება ბიზნეს-ლოგიკის შესაბამისად (Orchestration). ბიზნეს-ლოგიკა შესაძლებელია შედგებოდეს სხვადასხვა საფეხურებისგან, მაგალითად, შეტყობინებათა ტრანსფორმაცია და ახალი შეტყობინების ფორმირება.

განიხილება ვირტუალური კომპანიის შეკვეთების მართვის სისტემა, რომელიც რეალიზებულია Ms_BizTalk სერვერის საშუალებით. იგი უზრუნველყოფს შეკვეთების და მათი შესრულების პროცესების ავტომატიზაციას, მათი შესრულების სტატუსის მონიტორინგს რეალურ დროში. ამ სისტემის საშუალებით პროცესის მართვა უფრო გამჭვირვალე და მარტივი ხდება, რაც საბოლოოდ დროისა და შრომითი რესურსების შემცირებას იწვევს.

ვირტუალური სისტემების მოდელირება კორპორაციულ ქსელებში

თეიმურაზ ლოლიძე, დავით გულუა, იოსებ ირემაშვილი,
ირაკლი შურღაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კორპორაციული ქსელებში ვირტუალური ინფრასტრუქტურის ასაგებად კომპლექსური მიდგომაა საჭირო. გასათვალისწინებელია სისტემის მუშაობის საიმედოობა, ინფორმაციის უსაფრთხო შენახვა, სერვერული სისტემებისთვის ტრადიციული კრიტერიუმები და სხვ.

საილუსტრაციოდ განიხილება ნაშრომის ავტორთა მონაწილეობით აგებული ვირტუალური სისტემა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ქსელის ფარგლებში, უნივერსიტეტის ონლაინ-ბიბლიოთეკის ერთი ნაწილის (CD/DVD-არქივები) შენახვისა და უნივერსიტეტის ქსელში გამოყენებისთვის. სისტემა შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

მასანიძელ-სისტემები: 2 სერვერი. მასასიათებლები: Dell Power Edge 2950, 4-პროცესორიანი (Intel Xeon E5420, 2,493 GHz ტაქტური სიხშირით), 64 GB ოპერატიული მეხსიერება, 50 GB ლოკალური გარე მეხსიერება, 6 ქსელური ინტერფეისი, FC HBA ინტერფეისი SAN-არქიტექტურასთან (ხისტი დისკების მასივი) მიმართვისთვის. სერვერები გაერთიანებულია Windows 2008 ოპერაციული სისტემის სერვერ-კლასტერის ფარგლებში.

სტუმარ-სისტემები: 7 ვირტუალური მანქანა. აქედან 4 ტერმინალ-სერვერი (მათგან 3 Citrix Meta Frame-ს ბაზაზე), 1 ფაილ-სერვერი, 2 სარეზერვო სერვერი. ოპერაციული სისტემები სტუმარ მანქანებზე: Windows 2003 Server Enterprise Edition.

გარე მეხსიერება: ხისტი დისკები ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ხისტი დისკების საცავიდან. მთლიანი მოცულობა 2 TB. კლასტერთან დასაკავშირებლად ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის ხაზები გამოიყენება. სელი: სისტემა წარმოადგენს საუნივერსიტეტო ქსელის ნაწილს და იმავდროულად ვირტუალური მანქანებისგან ჩამოყალიბებულია 2 ვირტუალური ქსელი, რომლებიც ლოკალურ IP-მისამართებს (192.168-პულიდან) იყენებს. მმართველი პროგრამები: კლასტერის სამართავად გამოიყენება Windows 2008 Server EE-ოპერაციული სისტემის სისტემური აპლეტი Failover Cluster Management, ხოლო ვირტუალური მანქანებისა და ქსელების მართვისთვის – აპლეტი Hyper-V Manager. მუშაობის პრინციპი: ვირტუალური მანქანები ინახება SAN-დისკებზე და სერვერებისგან დამოუკიდებელია, თუმცა მათი მუშაობით იმართება. ერთი სერვერის მწყობრიდან გამოსვლა მასზე განწყობილი ვირტუალური მანქანების მეორე სერვერის მართვის ქვეშ ავტომატურ გადასვლას და შესაბამისად, მთლიანი სისტემის მუშაობის შეუფერხებელ გაგრძელებას უზრუნველყოფს.

LMM Tools for Modeling of Complex Software Systems

Volz B.¹, Jablonski S.¹, Turkia E.²

University of Bayreuth (Germany), Georgian Technical University

Implementation of complex software systems (processing of full life cycle of the object) requires multi-scenario research (description, planning, development, implementation, testing, validation, introduction) through application of various types of modeling and, consequently, different software tools. Under the frames of the application of the various types of models, the standards related to processes coordination, dynamic simulation, service - oriented modeling, object - oriented design and others are unified (eg., CASE, RAD, BPMN, WFMS, PetriNet, DSM, SOA). Despite the fact that these models make the system fully described, still there is a number of issues those being mainly related to the integration of modelling elements and data, mutual perception and joint review of nonformal and formal models. In this point of view, creation of the special meta-language and platform is absolutely essential thus supporting integration of the organizational applications, mutual perception of graphical illustrations of business-processes and data models, analysis, optimization, monitoring and process of automation into the unified environment.

For the solution these problems we propose Linguistic Meta Model (LMM) tools, that relating Entities of each model directly, fixing and storing of semantical structure of each models and expressing these in terms of the common syntactic meta model.

The LMM generally supports any kind of relationship between modeling levels since it merely represents model structures but no semantic. In practice, the available relationship types are instance Of and references; the latter one defines a loose relationship between two levels and merely stands for the use of entities located at the related level within the referencing level but does not impose a restriction on this use. Furthermore, the order of levels can be chosen freely; also non-linear layouts can be represented with the LMM.

LMM allows for representing arbitrary hierarchies of meta models. The LMM is the basis for Open Meta Modeling Environment (OMME) which is a set of plug-ins for the Eclipse Platform and that allows for creating models with an arbitrary number of meta layers and that interprets concepts such as

(Extended) Powertypes, Deep Instantiation, Materialization and Clabjects. Linguistic meta model can be compared to the concept of an intermediate language as known from the Java Byte Code or the Intermediate Language code of the Microsoft .NET platform.

სადაზღვევო და ჯანდაცვის ობიექტების ინტეგრირებული ინტერნეტული სისტემის დამუშავება

ეკატერინე თურქია, ბესარიონ ჩიზრაძე, ანჟელა კაკულია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა წარმოადგენს ჯანდაცვის დაფინანსების და მართვის მექანიზმს დაზღვეულებს შორის სამედიცინო რისკის გაერთიანების საშუალებით, სადაც დაფინანსების წყაროებს შეადგენს ორგანიზაციების, ინდივიდუალური პირების ან სახელმწიფოს ფინანსური შენატანები.

დღესდღეობით, საქართველოში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის პროცესის განვითარება. ამის ფაქტორია როგორც სადაზღვევო კომპანიებისა და დაზღვეულების რიცხვის ჭარბი მატება, ისე ჯანდაცვის ობიექტების თანამშრობლობა სადაზღვევო კომპანიებთან. გამომდინარე აქედან, რთულდება სადაზღვევო კომპანიების, მოქალაქეებისა და ჯანდაცვის ობიექტების ინფორმაციული და საქმიანი ურთიერთდამოკიდებულების მართვა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო კომპანიები არ უზრუნველყოფენ ჯანდაცვის ზოგიერთი ობიექტის დაფინანსებას, ხოლო რეგიონებში საზოგადოებას ემსახურება შეზღუდული რაოდენობის სადაზღვევო კომპანია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეიქმნას ჯანდაცვის ობიექტებისა და სადაზღვევო კომპანიების ინფორმაციული მართვის ინტეგრირებული გარემო, რაც ერთი მხრივ, შესაძლებელს გახდის მოქალაქეების ინფორმირებას, როგორც სადაზღვევო კომპანიების აღწერის თვალსაზრისით და სტატისტიკური ანალიზით, ისე ჯანდაცვის ობიექტებისა და სადაზღვევო კომპანიების კავშირის მიხედვით; მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ობიექტების, სადაზღვევო კომპანიებისა და მოქალაქეების დოკუმენტბრუნვის პროცესის წარმართვასა და მართვას.

მარკეტინგული პროცესების მოდელირება და ანალიზი დინამიკებით და კმპეტის ქსელებით

გია სურგულაძე, მაია ოხანაშვილი, ზატია ქრისტესიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება კორპორაციების მარკეტინგული პროცესების მენეჯმენტის სფეროში აქტუალურ საკითხებს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების პირველ ეტაპზე საჭიროა ბიზნეს-პროცესების და ბიზნეს-წესების მოდელირება და შესაბამისი უნიფიცირებული დიაგრამების სიმრავლის ფორმირება (UseCase & Activity Diagrams). რთული დინამიკური პროცესების ანალიზის და მათი შესაბამისი დიაგრამების (მიმდევრობით- ან პარალელურად შესასრულებელი სქემების) ეფექტიანობის დასადგენად ვიყენებთ ფერადი პეტრის ქსელების CPN-ინსტრუმენტს და მისი სიმულაციის შესაძლებლობებს.

მარკეტინგული პროცესების ერთიანი CPN მოდელი კომპლექსური კვლევის ობიექტია. მისი, როგორც იმიტაციური მოდელის, დეტალური ანალიზის ჩატარება საკმაოდ რთულია, ერთი მხრივ, პოზიციების, გადასასვლელებისა და შესაძლო მარკირებათა მდგომარეობების დიდი მოცულობების გამო, მეორე მხრივ, ფერადი მარკერების შესაბამისი პროცესების აღწერის, მათი ქსელში მოძრაობის და ინფორმაციული ნაკადების გადატანის დიდი სირთულია გამო. ამოტომ საჭირო ხდება კვლევის ობიექტის დეკომპოზიციის განსორციელება, რაც CPN მოდელის წარმოდგენით მოხდება მისი იერარქიულად დაკავშირებული მოდულების საფუძველზე (ისე, როგორც პროგრამული პაკეტი შედგება მოდულებისგან, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების პრინციპებით). პროდუქციის საწარმოო ფირმის მარკეტინგული პროცესების მოდელირებისათვის გვაქვს შემდეგი ძირითადი იერარქიული მოდულები: საბაზრო მოთხოვნების განსაზღვრა; პროდუქციის წარმოების დაგეგმვა; წარმოების ტექნიკური მომზადება და პროდუქციის წარმოება; პროდუქციის გაცემა (სასაწყობო მეურნეობა); პროდუქციის გადაგზავნა (ტრანსპორტირება), მიღება და დამკვეთის ინფორმირება; ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვა; საწარმოო და სარეალიზაციო გეგმების შესრულება და ანალიზი; ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიში და ანალიზი; ახალი საბაზრო სტრატეგიის ფორმირება და ა.შ.

სკოლის საქმისწარმოების პროცესების იმიტაციური მოდელირება და კვლევა ფერადი კმპეტის ქსელებით

გია სურგულაძე, ისმაილ ილიძე (თურქეთი),
დიანა კიკილაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გადმოცემულია საჯარო სკოლის ბიზნეს-პროცესების ასახვის საკითხები ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების საფუძველზე, UML-ენის გამოყენებით. აღწერილია სასწავლო პროცესის საქმისწარმოების Use Case, აქტიურობათა და კლასთა დიაგრამები, რის საფუძველზეც განისაზღვრა მთლიანი ავტომატიზებული სისტემის აგების კონცეფცია. შემოთავაზებულია ყოფაქცევის მოდელის - აქტიურობის დიაგრამის ტრანსფორმაციის ალგორითმი ფერადი პეტრის ქსელის (CPN) ენაზე, რის საფუძველზეც შესაძლებელია დინამიკური პროცესების იმიტაციური მოდელით კვლევა. შემუშავებულია საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის დონის შეფასების ავტომატიზებული სისტემის პროექტი განათლების სამინისტროს მოთხოვნების საფუძველზე და ექსპერტულ შეფასებათა მეთოდის გამოყენებით. პროგრამული სისტემის ექსპერტიზებული ნაწილი რეალიზებულია Ms Visual Studio .NET ინტეგრირებული პაკეტის გარემოში, C#.NET ენის ბაზაზე.

Web აპლიკაციების დამუშავების პროცესის მოდელირება UML/2 ტემპოლოგიით

გია სურგულაძე, მიხეილ გულიტაშვილი,
ბესარიონ ჩიხრაძე

განიხილება გამოყენებითი სფეროს მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტებისა და დეველოპინგის პროცესების დიაგნოსტიკის და IT-კონსალტინგის ამოცანები ობიექტ-ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. ყურადღება გამახვილებულია პროგრამული პროექტების მენეჯმენტის საკითხებზე, უნიფიცირებული მოდელირების ენისა და ექსტრემალური პროგრამირების პრინციპების და მეთოდების კომპრომისულ გამოყენებაზე. შემოთავაზებულია პროგრამული სისტემების სასიცოცხლო ციკლის ბიზნეს-პროცესების მოდელირების აქტიურობის

დიაგრამები და შესაბამისი თვალსაზრისით რეალიზებული პრაქტიკული ექსპერიმენტების შედეგები Visual Studio 2010 / Enterprise Architect 8.0 გარემოში. განხილულია WEB პროექტი C# / ASP.NET დაპროგრამების ენების საშუალებით; პროგრამული კოდის ავტომატური გენერაცია Class-Associations დიაგრამებიდან და რევერსული დაპროგრამება. აგებულია UML/2 დიაგრამები და განსაზღვრულია მათი გამოყენების არეები.

PROBLEMATIC TRANSACTIONS RESEARCH MANAGEMENT

Nino Topuria, Eteri Giunashvili
Georgian Technical University

St. Andrew's University, Georgian Patriarchate

Company providing prompt payment's service is highly dependent on the factor of how fast and comfortable services it can offer to its customers. When there is more than a million transactions a day there is very high possibility of transactions failure. Information on such transactions received by the information's department should be directed to the appropriate division and for maintaining this process effectively we should develop a product, which would resolve this kind of problem in the timeliest manner.

The article discusses the problem solving process. We preferred to add skills required for the research to already existent product, as it is much more convenient for costumers to work with familiar product and it would be necessary to conduct only one training, not needing installation of software for each costumer. Therefore, on the company's internal usage site, which is based on ASP.Net technology, for the departments taking apart in the problem solving process were added "problem management" in the main menu as well as the sub-menu for each division to have access to the information provided only for them and also “resolved problems”.

In this product we were able to combine all methods of information search required to solve the problems for all departments (except the software department, as work done by this structure is quite specific), which significantly decreased time needed in research participation, besides research process became much more flexible and efficient and complications caused by mechanical mistakes were totally eradicated. Software is developed with web-services using ORACLE base.

ინფორმატიკის დიდაქტიკური სისტემა

გურამ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიდაქტიკა პედაგოგიის დარგია, რომელიც ამუშავებს განათლებისა და სწავლების თეორიულ საფუძვლებს. დიდაქტიკის მეცნიერული კვლევის საგანია სწავლების პრინციპები და კანონზომიერებანი, მისი მიზნები, მეთოდები, ფორმები, შინაარსი, საშუალებები და პასუხობს კითხვებს: ვის ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, რით ვასწავლოთ, ვინ ასწავლოს და ა.შ.

დიდაქტიკას პედაგოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მან არსებობის მანძილზე კაცობრიობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. დიდაქტიკა, როგორც დინამიური სისტემა, ყოველთვის განიცდიდა ეპოქასთან შესაბამის ცვლილებებს და ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით. ძირითადი მიზეზი კი ყოველთვის იყო საზოგადოების მოთხოვნა განათლების სისტემის მიმართ და განათლების ხელშემწყობი ახალი ტექნიკური საშუალებები. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ოცი წელი აღინიშნება განსაკუთრებული აღმასვლით განათლების სისტემაში ინფორმატიკის, კერძოდ კი, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართებაში. ახალმა ინფორმაციულმა სისტემებმა და ტექნოლოგიებმა, კომპიუტერულმა მასწავლმა სისტემებმა, საკომუნიკაციო ინტერნეტ ქსელებმა და სხვა ელექტრონულმა მასწავლმა საშუალებებმა კარდინალურად შეცვალეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები და ახალი მოთხოვნები წაუყენეს საგანმანათლებლო სისტემას. ეს კი ინფორმატიკის დიდაქტიკის წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს, რათა აღიწეროს და გაანალიზდეს სწავლების თანამედროვე პროცესები და მათი რეალიზების პირობები, დამუშავდეს სწავლების პროცესის თანამედროვე მენეჯმენტი, უახლესი სასწავლო სისტემები და ტექნოლოგიები.

მოსწავლეებში განიხილება ინფორმატიკის დიდაქტიკური სისტემის შემდეგი ძირითადი ელემენტები:

- საინფორმაციო ეპოქის სტრუქტურის (მოსწავლის) მოდელი;
- ინფორმატიკის დიდაქტიკა, როგორც ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი საშუალება;

- ინფორმატიკის დიდაქტიკა, როგორც განათლების დემოკრატიული სისტემის შექმნის ხელშემწყობი საშუალება;
- ინფორმატიკის დიდაქტიკა, როგორც განათლების ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი საშუალება.
- ინფორმატიკის დიდაქტიკა, როგორც განათლების პროცესის ინდივიდუალიზების ხელშემწყობი საშუალება.
- ინფორმატიკის დიდაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალსახეობისა და ფორმის შექმნის ხელშემწყობი საშუალება.

THE DIDACTICS OF FORMING THE PEDAGOGICAL AND SITUATIONAL VARIABLES DATABASES FOR THE EFFECTIVE PEDAGOGICAL MANAGEMENT

Ahmet Oz

Turkey. Chaghlar Educational Institutions.
ahmet-oz92@hotmail.com

